პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 5 დეკემბერი, 1948 წ. № 241 (8285). ფასი 20 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს სტალინური კონსტიტუციის მიღების XII წლისთავს.

სტალინური კონსტიტუციის დროშით ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვეს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

დიდება სტალინური კონსტიტუციის შემოქმედს, ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის ტრიბუნაზე

სტალინური კონსტიტუციის დროშით

თორმეტი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ მოიწონა და დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელსაც საბჭოთა ხალხმა მისი შემოქმედის დიდი სტალინის სახელი უწოდა, შეჯამებულია და საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა მონაპოვარი 1924 წლიდან — სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღებიდან 1936 წლამდე — ახალი სტალინური კონსტიტუციის მიღებამდე. ეს იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის თავდადებული ბრძოლების წლები, რაც საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დაავგვირგვინა. ამ ბრძოლების შედეგად ძირიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან იგი მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა, წარმოების სოციალისტური სისტემა სავსებით გაბატონდა მთელ სახალხო მეურნეობაში, აღმოიფხვრა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მისი წარმომშობი მიზეზები. ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა. საბჭოთა საზოგადოებაში დარჩა ორი მეგობრული კლასი — მუშათა კლასი და გლეხობა და მათი წიაღიდან გამოსული საბჭოთა ინტელიგენცია. სამუდამოდ გაქრა კრიზისები, უმუშევრობა, აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალიზმის მიღწევებზე დაყრდნობით უზრუნველყო სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის, დასვენების, განათლების უფლებანი. საბჭოთა ადამიანები იცავენ ამ უფლებებს. სტალინური კონსტიტუციის დროშით აღწევდნენ და აღწევენ ისინი ახალ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. სტალინური კონსტიტუციის დროშით იბრძოდნენ ისინი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, იცავდნენ თავიანთ ისტორიულ მონაპოვარს. ამ სახელოვანი დროშით მიაღწიეს მათ ბრწყინვალე გამარჯვებას სასტიკ და ძლიერ მტერზე — ჰიტლერელ ავაზაკებზე, შეინარჩუნეს არა მარტო თავიანთი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ ფაშისტური დამონების საფრთხისაგან გადაარჩინეს მთელი კაცობრიობა, მსოფლიო ცივილიზაცია. სტალინური კონსტიტუციის დროშით საბჭოთა ხალხი აღადგენს და ავითარებს მძიმე ომისაგან დაზიანებულ სახალხო მეურნეობას. მეოთხე სტალინური 5-წლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებისათვის გაშლილი მძლავრი სახალხო მოძრაობა. ამ გეგმისათვის ბრძოლის პირველი სამი წლის წარმატებანი მოწმობენ საბჭოთა დემოკრატიზმის უდიდეს ცხოველმყოფელ ძალას, საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს, მათ მაღალ სულიერ თვისებებს.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი არის ლენინ-სტალინის პარტია — „მშრომელთა მოწინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის“, როგორც ეს აღნიშნულია სტალინურ კონსტიტუციაში. საბჭოთა წყობილების ღრმა დემოკრატიზმი ის საფუძველია, რომლითაც პარტია უზრუნველყოფს სოციალიზმის ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებას.

მიმდინარე წელს წარმოიშვა ახალი პატრიოტული მოძრაობა — მოძრაობა საწარმოთა შინაგანი რეზერვების მობილიზაციისათვის, მათი მუშაობის რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება — სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი უკვე ჩვენი სამშობლოს მთელი მშრომელი მასების კუთვნილება გახდა. „ეს ოქტომბრის რევოლუციის ისეთი დიდი მონაპოვარია. — განაცხადა ამხანაგმა მოლოტოვმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავზე, — რომლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია... სოციალისტური შეჯიბრების მასშტაბი და სიღრმე მოწმობენ, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, ეროვნული სხვადასხვაობისა და სარწმუნოებისაგან დამოუკიდებლად, გადაიქცა მშრომელთა ერთსულოვან ოჯახად“.

ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში დამკვიდრებულმა ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ უძლეველი ძალა მისცა სოციალიზმის ქვეყანას. ჩვენს პრესაში ყოველდღე იბეჭდება ცნობები და ანგარიშები, რომლითაც ქარხანა-ფაბრიკები და კოლმეურნეობები, მშენებლობანი და სამეცნიერო დაწესებულებები, რაიონები და ქალაქები, ოლქები, მხარეები და სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს აცნობებენ თავიანთი შრომითი მიღწევების შესახებ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენი სახელმწიფო გადაიქცა ხალხთა ერთსულოვან ოჯახად, რომელმაც გვიჩვენა უძლეველობა და ურყევი დარაზმულობა სამამულო ომის წლებშიც და ომის შემდეგაც, ბრძოლაშიც და შრომაშიც.

სტალინური კონსტიტუციის თანმიმდევრული დემოკრატიზმი განსაკუთრებული სიცხადით ჩანს ჩვენს დღეებში, როდესაც ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები „დემოკრატიისა“ და „ხალხთა თვითგამორკვევის“ სახელით არღვევენ ცალკეული ერების ელემენტარულ სუვერენულ უფლებებს და ცდილობენ „თავს მოახვიონ სხვა ქვეყნებს თავიანთი იმპერიალისტური მშვიდობა“ (მოლოტოვი). „დემოკრატიის“ სახელით გზავნიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები თავიანთ ჯარებს საბერძნეთში თავისუფლებისმოყვარე ბერძენი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამერიკელი „დემოკრატები“ იარაღს აწვდიან ჩინეთის კონტრრევოლუციურ მთავრობას და ინდონეზიელ ავანტიურისტებს ჩინელი და ინდონეზიელი ხალხის უფლებათა გასათელავად. „დემოკრატიის“ სახელით გამოდის ხალხთა დამონების „ტრუმენის დოქტრინა“ და „მარშალის გეგმა“. იმავე „დემოკრატიის“ სახელით ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები ახალ ომს ამზადებენ. ომის გამჩაღებლები გაძლიერებულ პროპაგანდას ეწევიან, მაგრამ მათი ცდა მხოლოდ მარცხით შეიძლება დამთავრდეს. „მეტად დიდია ის ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწაფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა“ (სტალინი).

მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის მებრძოლთა მრავალმილიონიან არმიას წინ მიუძღვიან სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ დარაზმული სსრ კავშირის მშრომლები. მათ მხარში უდგიან ახალი დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, თავისუფლებისა და პროგრესისათვის ყველა მებრძოლი მთელ მსოფლიოში.

ქართველი ხალხი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ეგებება სტალინური კონსტიტუციის დღეს. საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ახალმშენებლობათა მუშაკებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ თავიანთი მიღწევებით. საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს წელს 155 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცენ ქვეყანას. ამ ვალდებულებას ისინი გადაჭარბებით ასრულებენ. საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშათა კლასთან ერთად მონაწილეობს ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა. სოფლის მშრომელებმა წელს შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის, მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მიღების საქმეში. კიდევ ცოტა ხანი, და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს შეაჯამებს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა, რომელიც 1949 წლის 25 იანვარს შეიკრიბება. ყრილობა დასახავს ახალ საბრძოლო ამოცანებს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის.

სტალინური კონსტიტუციის დროშით, დიდი სტალინის მეთაურობით სსრ კავშირის ხალხები მტკიცედ მიდიან წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გავაფართოოთ საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრები!

ოდესის საგარეუბნო რაიონის კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

გულითადი სალამი, ძვირფასო ამხანაგებო!

სიხარულით შევიტყეთ, რომ საბჭოთა მთავრობამ ამხანაგ სტალინის ინიციატივით დადგენილება მიიღო, რათა სუბტროპიკული კულტურები საქართველოდან გავრცელდეს კრასნოდარის მხარეში, ყირიმში, სამხრეთ უკრაინაში, მოლდავეთში, შუა აზიის რესპუბლიკებში, აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებსა და დაღისტანში. ეს დადგენილება არის ახალი გამოხატულება სტალინური ზრუნვისა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

საქართველოს ყოველწლიურად ასობით მილიონი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი მოყავს. მოსავალი წლითიწლობით მატულობს. მაგრამ ჩვენი მრეწველობისა და მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ციტრუსოვანი ნაყოფის ეს უდიდესი რაოდენობაც.

აგროტექნიკისა და სელექციის მეთოდების განვითარებითა და გაუმჯობესებით, მიჩურინ-ლისენკოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ციტრუსოვანი კულტურების გაშენება შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს, გავრცელდეს საქართველოს ფარგლებს ბევრად დაშორებითაც.

ახალ ადგილებში ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების დანერგვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების წარმატებით განხორციელება იმას ნიშნავს, რომ ხელი შევუწყოთ ამ კულტურების შემდგომ გავრცელებას, გავამრავლოთ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე, უფრო ავამაღლოთ მოსახლეობის კეთილდღეობა.

როცა იმ რაიონთა სპეციალისტები, სადაც დასახულია ციტრუსოვანი კულტურების გაშენება, ეცნობოდნენ ჩვენს ციტრუსოვან მეურნეობას, ჩვენ დაგვებადა აზრი დავეხმაროთ ოდესის საგარეუბნო რაიონის კოლმეურნეობებს დაიწყონ და განავითარონ მათთვის ახალი საქმე.

დაე უფრო ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეობებს შორის, რაც ათი წლის წინათ დაიწყო და უკვე მოგვცა შესანიშნავი შედეგი. დაე საბჭოთა ქვეყნის ციტრუსოვანი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენი ერთობლივი მუშაობა ახალი წვლილი გახდეს უკრაინელ და ქართველ ხალხთა ძმური მეგობრობის საქმეში.

ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოსა და უკრაინის გაზეთების ფურცლებზე ვუამბოთ ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეებს, რომ ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების ფართოდ დანერგვის, მათი მზრუნველობითი მოვლა-გაშენების მეოხებით ჩვენი რაიონის კოლმეურნეობანი მოწინავენი, მაღალშემოსავლიანი და მდიდარნი გახდნენ, ხოლო კოლმეურნეები — შეძლებულნი.

ჩვენი რაიონი დიდი ხანი არაა, რაც ციტრუსოვანი კულტურების რაიონი გახდა, ეს განხორციელდა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში. მანამდე ჩვენ ფიქრიც არ შეგვეძლო, რომ სოფლის მეურნეობის ახალი დარგი ჩვენში ასეთ დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა. ამ ხნის განმავლობაში რაიონში დაირგო და გახარებულია 2.500.000 ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ხე. ამ საქმეს დასჭირდა ძალიან დიდი შრომა, ცოდნა, გამოცდილება და ენერგია. ახლა ჩვენი შრომა ქარბად არის ანაზღაურებული. ჩვენ გამსჭვალული ვართ უდიდესი მადლობის გრძნობით საბჭოთა მთავრობისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, რომლებმაც ჩვენი კოლმეურნეობანი ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ფართოდ დანერგვის გზაზე დააყენეს. ციტრუსები და ჩაი ჩვენი კოლმეურნეობების სიმდიდრის, ჩვენი შეძლებულობის ძირითადი წყარო გახდა. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა ციტრუსოვანი მეურნეობის ფართოდ განვითარებას უნდა უმადლოდეს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომელიც საქართველოს ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდა და უზრუნველყო სტალინის დავალების შესრულება.

იქ, სადაც წინათ გაუვალი ეკალბარდი, გვიმრა და საშინელი ხენის, მალარიის კერა — ჭაობები იყო, დღეს გადაჭიმულია კოლმეურნეობათა ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ბაღები, ევკალიპტის, ჩაის პლანტაციები.

ციტრუსოვანთა პლანტაციების გულმოდგინე მოვლა, მოწინავე აგროტექნიკის გამოყენება უფრო და უფრო უხვ მოსავალს გვაძლევს. თუ ომამდელ, 1940 წელს მოვკრიფეთ 45.607.300 ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი, 1947 წელს მათმა მოსავალმა 64.097.600 ცალს მიაღწია, ხოლო წელს უფრო მეტი იქნება.

ახლა გაჩაღებულია მოსავლის აღება. ყველაფერი მოწმობს, რომ მოვკრეფთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 90.000.000-მდე ნაყოფს. ჩვენ მნიშვნელოვნად გადავაჭარბებთ ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებას.

მილიონობით ციტრუსოვან ნაყოფს იღებენ ახლა არა მარტო კოლმეურნეობები, არამედ ცალკეული ბრიგადები. მაგალითად, სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში არტემ მახარაძის ბრიგადა სახელმწიფოს ჩააბარებს 5.200.000 ლიმონს, ფორთოხალსა და მანდარინს, შარშანდელზე ერთიორად მეტს, მთელი კოლმეურნეობა კი ჩააბარებს სულ ცოტა 18.000.000 ცალს. სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა მოიწევს სულ ცოტა 15.000.000 ცალს. დიდ მოსავალს მიიღებენ აგრეთვე სოფელ მერიის კიროვის სახელობის, სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის, სოფელ თხინვალის ლეხელიძის სახელობის, სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის, სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები და ურეკის საბჭოთა მეურნეობა.

ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი ჩვენში ყოველწლიურად დიდდება. ომისშემდგომი ხუთწლედის დამლევს იგი მიაღწევს 3.500 ჰექტარს, თითქმის 1.000 ჰექტარით გადააჭარბებს ომამდელს და 300 ჰექტარით — ახლანდელს.

ციტრუსოვანი კულტურები და ჩაი წელს ძალიან დიდ შემოსავალს მისცემენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. რაც შეეხება კოლმეურნეებს, ბევრი მათგანის შემოსავალი, გარდა პროდუქტებისა, შეადგენს 50.000-60.000 მანეთს.

ადვილი როდი იყო მიგვეღწია ციტრუსოვანი მეურნეობის ასეთი დიდი აღმავლობისათვის, მისი ასეთი შემოსავლიანობისათვის. ციტრუსი ძალიან ნაზი, სათუთი, მომთხოვნელი და შრომატევადი კულტურაა. მას განსაკუთრებით გულმოდგინე და მზრუნველობითი მოვლა ესაჭიროება. ციტრუსოვანი ხეების მოვლა-პატრონობა უნდა მიენდოს ამ საქმის კარგად მცოდნე და მოყვარულ ადამიანებს. დიდი მნიშვნელობა აქვს წინასწარ გაიშალოს მზადება ციტრუსოვანთა პლანტაციების საგაზაფხულო გაშენებისათვის, გამოიყოს ნაკვეთები, კარგად გაპატივდეს ნიადაგი, შერჩეულ იქნან ადამიანები — ახალი საქმის ორგანიზატორები, მოგვარდეს ახალგაზრდა ნარგავთა კარგი მუდმივი მოვლა, გულმოდგინედ დაცულ იქნას ისინი ყინვისაგან. ჩვენში ამ საქმის წარმატება უზრუნველვყავით არა მარტო საკუთარი შრომით, არამედ საქართველოს სხვა მეციტრუსე რაიონების გამოცდილების გულდასმითი შესწავლითაც. მზად ვართ გადმოგცეთ ჩვენი გამოცდილება, უზრუნველვყოთ თქვენი კოლმეურნეობები კარგი, შემოწმებული ნერგით, გაგიზიაროთ ყოველივე ის, რაც საჭიროა თქვენი კოლმეურნეობების მიერ დაწყებული დიდი, სასარგებლო საქმის წარმატებისათვის.

სახელმწიფო დავალებით ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენი ქვეყნის ახალ ციტრუსოვანთა რაიონებში 1949 წლის გაზაფხულზე გასატანად უნდა მოამზადონ 115.000 ლიმონისა და მანდარინის ნერგი, 1950 წლის გაზაფხულზე—200.000 ნერგი.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა წარმატებით შევასრულოთ ეს პასუხსაგები დავალება. მომავალ წელს გასატანად გათვალისწინებული მთელი 115.000 ნერგი უკვე გადავიტანეთ და შევინახეთ ფარდულებში. მათი მოვლა დაევალა ყველაზე გამოცდილ მეციტრუსეებს. თვითეული ნერგი რომ საღი, სტანდარტული იყოს, ამისათვის ამჟამად მათ წინასწარ ვწამლობთ სოკოვან დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, ფარდულებში საჭირო ტემპერატურა გვაქვს, მუდამ ვიცავთ ნიადაგის ზომიერ ტენიანობას. ამავე დროს ვამზადებთ ნერგის შეფუთვისათვის საჭირო მასალას: ხავსს, თივას, ჭილობს, ხეზს.

დიდი მუშაობა გვაქვს შესასრულებელი 1950 წლისათვის ნერგის მოსამზადებლად. ჩვენ გადავწყვიტეთ გავაუმჯობესოთ ოკულანტების მოვლა, გავადიდოთ სტანდარტული ნერგის გამოსავალი, სახელმწიფო დავალების გადამეტებით გამოვიყვანოთ სულ ცოტა 10.000 ლიმონისა და მანდარინის ნერგი თქვენი რაიონის კოლმეურნეობებისათვის. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენი გამოყვანილი ნერგი სავსებით საღი იყოს. თქვენმა შრომამ და ახალგაზრდა ხეებისათვის ზრუნვამ უნდა უზრუნველყოს მათი გახარება ახალ ადგილას.

ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნერგის წესისამებრ დარგვას. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ რგვის დროისათვის თქვენს რაიონში გამოვგზავნოთ სპეციალისტ მეციტრუსეთა ბრიგადა. ისინი ახალ მეციტრუსე კოლმეურნეობებს დაეხმარებიან ნერგის რგვაში.

თვითეული ჩვენი მეციტრუსისათვის ღირსების საქმეა თავისი გამოცდილება გადმოგცეს თქვენ, მოძმე უკრაინის მეციტრუსეებს. დიდი მოხარული ვიქნებით, თუ გვეწვევიან თქვენი წარმომადგენლები, რომელნიც გვიამბობენ, როგორ მიმდინარეობს თქვენში მუშაობა ახალი კულტურების დასანერგავად, რა წარმატებას მიაღწიეთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ჩვენ მათ ვუჩვენებთ ციტრუსოვან და ჩაის პლანტაციებს, საკოლმეურნეო სოფლებს, გავაცნობთ ჩვენს ცხოვრებას, რომელიც შეძლებული გახდა იმის მეოხებით, რომ გაბედულად, ფართოდ დავნერგეთ ჩვენს მეურნეობაში ციტრუსოვანი და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები.

ჩვენს ქალაქ მახარაძეში მუშაობს ჩაის მეურნეობისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. როცა შეიტყო ჩვენი გადაწყვეტილება ოდესის საგარეუბნო რაიონის მეციტრუსეებისათვის დახმარების შესახებ, ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივი ჩაება ამ საქმეში და ვალდებულება იკისრა: გააძლიეროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, შეადგინოს აგრონომიული მითითებანი სამხრეთ უკრაინაში ციტრუსოვანი კულტურების დასანერგავად. ინსტიტუტის მუშაკები ჩამოვლენ თქვენში. ისინი ადგილობრივ მოაწყობენ კონსულტაციას, გაგიწევენ დახმარებას ციტრუსოვანთა ნარგავების საცდელი და სამეურნეო გაშენებისას, ადგილობრივ დაგეხმარებიან 1949 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შედგენაში. ისინი ეცდებიან, რათა უახლოეს წლებში გამოიყვანონ სუბტროპიკული კულტურების ყინვაგამძლე ჯიშები.

გავავრცელოთ ციტრუსოვანი კულტურები ახალ რაიონებში, ფართოდ დავნერგოთ ისინი ჩვენს ქვეყანაში—ეს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების კოლმეურნეთა და სპეციალისტ მეციტრუსეთა ღირსების საქმეა.

ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სანიმუშოდ შევასრულოთ სტალინური დავალება, რათა კიდევ უფრო მდიდარი და მშვენიერი გავხადოთ ჩვენი სამშობლო, ხოლო საბჭოთა ადამიანების ცხოვრება — უფრო მდიდარი და სახიხარულო.

გულითადი მხურვალე სალამი მოძმე უკრაინელ ხალხს!

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა!

დიდება ჩვენს მამას, მეგობარსა და მასწავლებელს, მშობლიურ სტალინს!

მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დავალებით: სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი მ. **ორაგველიძე**, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსე ბრიგადის კოლმეურნე ვ. **ლოლაძე**, სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ლ. **ჯაბუა**, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსე ბრიგადის ბრიგადირი ა. **მახარაძე**, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ჟ. **ხომერიკი**, სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. **მუჯირი**, სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. **კოსტავა**, სოფელ თხინვალის ლეხელიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. **ბაქანიძე**, სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. **ქვაჩანტირაძე**, სოფელ შუა ბახვის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა სანერგის გამგე ი. **მელუა**, სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის უბნის აგრონომი ს. **სურგულაძე**, სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების ციტრუსოვანი კულტურების უფროსი აგრონომი მ. **სურგულაძე**, რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი დ. **მჟავია**, რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე სოციალისტური შრომის გმირი მ. **ჯანუყვაძე**, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ი. **გამყრელიძე**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი დ. **ჭეიშვილი**, საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი სოციალისტური შრომის გმირი ვ. **სიხარულიძე**.

უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელთა პირველი გამოშვება

4 დეკემბერს თბილისში შედგა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელთა პირველი გამოშვება.

უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი განყოფილების საქართველოს საკონსულტაციო პუნქტის გამგემ ამხ. ნ. პაიჭაძემ, რომელიც სიტყვით გამოვიდა, განაცხადა: ბეჯითი მუშაობის შედეგად დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მსმენელთა უმრავლესობამ საუკეთესო შედეგებს მიაღწია. ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა „ფრიადზე“ და „კარგზე“ ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები. მათ ჩინებულად შეუთავსეს სწავლა პრაქტიკულ საქმიანობასთან.

უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი სწავლების კურსდამთავრებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. მ. კუბლაშვილი, თ. ქელივიძე და ა. მერცხულავა.

კურსდამთავრებულთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა და დიპლომები გადასცა უმაღლესი პარტიული სკოლის წარმომადგენელმა ამხ. გ. მიტაევმა.

კურსდამთავრებულთა გამოშვებას დაესწრნენ ამხ. რ. შადური, კ. პეპანაძე, ე. ჩერქეზია, ს. იმხანოვი.

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვადამდე შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მგელაძე და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დელბა აუწყებენ, რომ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1948 წლის 30 ნოემბრის ვადამდე შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების დარგში მთავრობის მიერ დაწესებული გეგმები.

წლიური გეგმები შესრულებულია: ხორცისა — 102,4 პროცენტით, რძისა — 100,4, კვერცხისა — 103,8, მატყლისა — 116,4, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 100,1, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 107,4, ღორის ტყავისა — 102,3, ბეწვეულისა — 113,6 პროცენტით, ქურქეულისა — 110,9, თესლოვანი ხილისა — 150,8, კურკოვანი ხილისა — 109,2, ბოსტნეულისა — 101,1, კარტოფილისა — 102, ლეღვისა — 133,8, ქლიავის ჩირისა — 100,3, ხმელი ხილისა — 106,4, ყურძნისა — 141,6, სამკურნალო ტექნედლეულისა—111,0, თივისა — 100 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დონემ ბევრად გადააჭარბა როგორც ომისწინა 1940 წლის, ისე გასული 1947 წლის დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველნი არიან

ყოველ წელიწადს საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს სტალინური კონსტიტუციის დღეს. ეს დღე საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში შევიდა, როგორც სოციალიზმის დიად გამარჯვებათა, საბჭოთა ხალხის ძლიერებისა და უძლეველობის მაჩვენებელი. 12 წლის წინათ ამ დღეს საბჭოთა ხალხმა მიიღო მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, სტალინური კონსტიტუცია.

ახალმა კონსტიტუციამ შეაჯამა და კანონით განამტკიცა საბჭოთა ხალხის მიერ ბრძოლითა და შრომით მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები. ახალი კონსტიტუცია ასახავს უკვე მიღწეულის და მოპოვებულის, კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის აშენებას ჩვენს ქვეყანაში.

ახალი კონსტიტუციის მიღება გაპირობებული იყო მთელი რიგი ისტორიული ცვლილებებით, რაც სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღების დღიდან—1924 წლიდან 1936 წლამდე. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია მიღებული იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განვითარებასთან ერთად დაშვებული იყო კაპიტალისტური ელემენტებიც, როცა საკითხი „ვინ-ვის" ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაჭრილი სოციალიზმის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღების პერიოდში ჩვენი მრეწველობა ჯერ კიდევ ემყარებოდა ძველ და ღარიბ ტექნიკას და ომამდელ დონესაც კი ვერ აღწევდა. მართალია, მრეწველობა სოციალისტური გზით ვითარდებოდა, მაგრამ მრეწველობაში სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა შეადგენდა დაახლოებით 80 პროცენტს. კაპიტალისტურ სექტორს კი მაინც ქონდა მრეწველობის 20 პროცენტი. კიდევ უფრო არასახარბიელო იყო ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. მემამულეთა კლასი დიდი ხნით ადრე იყო ლიკვიდირებული. მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა კულაკობა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ცალკეული კუნძულების სახით არსებობდნენ წვრილ და ჩამორჩენილ ერთპიროვნულ მეურნეობათა თვალუწვდენელ ოკეანეში. ცხადია, მაშინ წარმოუდგენელიც იყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა მხოლოდ კულაკის შეზღუდვის პოლიტიკას. არასახარბიელო მდგომარეობაში იყო საქონელბრუნვაც: სოციალისტურ სექტორს დაახლოებით 50 პროცენტი ეჭირა, დანარჩენი კი კერძო ვაჭრებს, სპეკულანტებს ეკავათ.

აი ასეთ პერიოდში იყო მიღებული საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუცია. ბუნებრივია, ამ კონსტიტუციას უნდა გამოეხატა ფაქტიური მდგომარეობა, — საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მაშინდელი დონე.

სულ სხვა მდგომარეობა იყო 1936 წლისათვის. სტალინურმა ხუთწლედებმა სრულიად უცვალეს სახე საბჭოთა ქვეყანას. სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. კაპიტალისტური ელემენტები ლიკვიდირებულ იქნენ. სოციალისტური ინდუსტრია ამ დროისათვის შვიდჯერ მეტ პროდუქციას უშვებდა, ვიდრე ომისწინადროინდელი მრეწველობა. სოფლად გაიმარჯვა სოციალისტურმა სისტემამ —კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც მსხვილი, მანქანური, ახალი ტექნიკით შეიარაღდნენ. კულაკობა, როგორც კლასი, ლიკვიდირებული იყო მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ხოლო ერთპიროვნული სექტორი უკვე სერიოზულ როლს აღარ ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკაში. საქონელბრუნვაც სახელმწიფოსა და კოოპერაციის ხელში იქნა თავმოყრილი. ამრიგად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაიმარჯვა სოციალისტურმა სისტემამ, მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი პირობა. „წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება განმტკიცდა როგორც ახალი, სოციალისტური წყობილების ურყევი საფუძველი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში". (სტალინი).

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარმა ამ ცვლილებებმა გამოიწვიეს ცვლილებები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კლასობრივ სტრუქტურაშიც. მოხდა ყველა ექსპლოატატორული კლასის ლიკვიდაცია. დარჩა მუშათა კლასი, გლეხთა კლასი, ინტელიგენცია, მაგრამ მათაც დიდი ცვლილება განიცადეს. მუშათა კლასი აღარ არის წარმოების საშუალებებს მოკლებული, ექსპლოატირებული კლასი, რასაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენი მუშათა კლასი ფლობს საწარმოო საშუალებებს, თავისუფალია ექსპლოატაციისაგან. მას ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. შეიცვალა გლეხობა. იგი უკვე აღარ არის ძველი ჩამორჩენილი, ინდივიდუალურ მეურნეობაზე დამყარებული გლეხობა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევდნენ მემამულეები, ბობოლები და ვაჭრები. კოლმეურნე გლეხობა ახალ ტექნიკაზე დაყრდნობილ კოლექტიურ მეურნეობას ეწევა და აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში. შეიცვალა ინტელიგენციაც. მისი უმრავლესობა გამოსულია მუშებისა და გლეხობის წრიდან. იგი ემსახურება სოციალიზმის საქმეს, მუშებთან და გლეხებთან ხელიხელჩაკიდებული აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

ამრიგად, ჩვენს საზოგადოებაში ადგილი აღარ აქვს ძველ განკერძოებულობას, ქრება კლასობრივი საზღვრები. შეიქმნა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. საბჭოთა ხალხის ეს ერთიანობა გამოხატულია ახალ სტალინურ კონსტიტუციაში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი — გადავსულიყავით საარჩევნო სისტემის შემდგომ დემოკრატიზაციაზე, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ არჩევნებზე ფარული კენჭისყრით. ამ უაღრესად დემოკრატიულმა საარჩევნო სისტემამ თავისი ასახვა ჰპოვა სტალინურ კონსტიტუციაში. საბჭოთა საარჩევნო სისტემამ, წინააღმდეგ ბურჟუაზიული არჩევნების წესისა, არ იცის არავითარი შეზღუდვები, ე. წ. ცენზები. ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, განათლებისა, სარწმუნოებისა, ბინადრობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, სოციალური წარმოშობისა, თანასწორად მონაწილეობს არჩევნებში და შეუძლია იქნეს არჩეული დაწყებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებით, თვით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე. ამასთან, ეს არჩევნები პირდაპირია, ფარული კენჭისყრით. „ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი წინასაარჩევნო სიტყვაში 1937 წლის 11 დეკემბერს, — შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში".

სტალინური კონსტიტუცია ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ანიჭებს უაღრესად დემოკრატიულ უფლებებს—შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობასა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში — მატერიალური უზრუნველყოფის უფლებებს; უზრუნველყოფს ბეჭდვითი სიტყვის, მიტინგებისა და კრებების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, მიწერ-მოწერის საიდუმლოებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლებას. ამასთან ერთად, კონსტიტუცია ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აკისრებს მთელ რიგ მოვალეობებს — დაიცვას კანონები, შრომის დისციპლინა, პატივისცემით მოეპყროს სოციალისტურ საკუთრებას, დაიცვას სოციალისტური სამშობლო, პატიოსნად მოეკიდოს თავის საზოგადოებრივ მოვალეობას.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფორმალურად უხვად სთავაზობენ მშრომელებს უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ ფაქტიურად მდუმარედ უვლიან გვერდს მათს შესრულებას, — სტალინური კონსტიტუცია არ სჯერდება მოქალაქეთათვის ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და მთელი სიმძიმის ცენტრი გადააქვს გარანტიებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უფლებების განხორციელებას.

სტალინურმა კონსტიტუციამ,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — „განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის ხანაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ საწყისად უნდა იყოს კომუნისტური პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით". („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". 1948 წ. გვ. 450-451).

არც ერთ კონსტიტუციას, არც ერთ პოლიტიკურ რეჟიმს მსოფლიოში ისეთი უფლებები არ მიუცია ადამიანისათვის, როგორიც მისცა სტალინურმა კონსტიტუციამ, საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ. ცნობილია, რომ ეგრეთწოდებული ბურჟუაზიული პარლამენტური დემოკრატიული წყობილებაც ითვალისწინებს მასების მონაწილეობას მართვა-გამგეობაში. მაგრამ არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის რეჟიმი არ აძლევს საშუალებას მშრომელ ხალხს განმსაზღვრელი, გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მმართველობაში. პირიქით, კაპიტალისტური მთავრობების მთელი ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ ჩამოაცილონ მასები სახელმწიფო მოღვაწეობას. საბჭოთა დემოკრატიის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მან საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენა ჩააბა პოლიტიკურ მოღვაწეობაში. საბჭოთა დემოკრატია უზრუნველყოფს მასების უშუალო, აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამასთან მასების ეს მონაწილეობა ძირითადი, განმსაზღვრელი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ძნელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული იმ პოლიტიკურ უფლებათა მნიშვნელობა, რომლებსაც თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ანიჭებს სტალინური კონსტიტუცია. ჭეშმარიტად, „ის, რასაც საბჭოთა კონსტიტუცია იძლევა, არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო 200 წლის განმავლობაში მოეცა" (ლენინი. თხზ. კრებული, XXV ტ. გვ. 144).

ამხანაგი სტალინი, ახასიათებდა რა ახალ კონსტიტუციას, ამბობდა, რომ იგი წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს, რომელიც მოწმობს, რომ ის, რაზეც ოცნებობდა და კვლავ განაგრძობს ოცნებას მილიონობით ადამიანი კაპიტალისტურ ქვეყნებში,—უკვე განხორციელდა საბჭოთა კავშირში. იგი მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ის, რაც უკვე განხორციელებულია ჩვენში, შეიძლება განხორციელებულ იქნას სხვა ქვეყნებშიც. ამიტომაც ახალი საბჭოთა კონსტიტუცია თავიდანვე გახდა მორალური დახმარება და რეალური დასაყრდენი ყველა იმათთვის, ვინც ბრძოლას აწარმოებდა ფაშიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვრების წინააღმდეგ აღმართეს ხელი გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა. მეორე მსოფლიო ომი იყო ყველაზე მკაცრი და გადამწყვეტი გამოცდა თანამედროვე დემოკრატიის ყველა ფორმისათვის. როცა ომს იწყებდნენ, ბევრი გერმანელი ფაშისტი მჯღაბნელი ძალღონეს არ იშურებდა იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს პირველივე სერიოზული დარტყმის შემდეგ, საბჭოთა არმიის პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში ჩვენში თავს იჩენდა კონფლიქტი მუშებსა და გლეხებს შორის, ატყდებოდა ჩხუბი საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს შორის, საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა შემადგენელ ნაწილებად, არსებობას შეწყვეტდა საბჭოთა დემოკრატიული რეჟიმი. მაგრამ ომმა არა თუ ვერ შეასუსტა საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მუშებისა და გლეხების კავშირი, არამედ კიდევ უფრო შეადუღაბა, განამტკიცა იგი. „საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა". (სტალინი, „სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 134).

სამამულო ომმა ცხადყო, რომ დიდი ოქტომბრით შობილი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეკონომიკა. მიუხედავად იმისა, რომ ომის პირველ პერიოდში მტერმა დაიპყრო საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონები, საბჭოთა ხალხი არა თუ ამცირებდა, არამედ დღითი დღე სულ უფრო ადიდებდა ფრონტის მომარაგებას საჭურვლითა და სურსათით, ადიდებდა საბრძოლო ტექნიკას, აუმჯობესებდა მას ხარისხს. ომის დროს მძლავრად გაიშალა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალები, თავი იჩინა საბჭოთა დემოკრატიის ცხოველმყოფელმა ძალამ, ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორულმა უნარმა, რომელმაც ხალხის მთელი ძალები მტრის განადგურებისაკენ წარმართა. ისევე, როგორც საბჭოთა არმიამ პირისპირ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ხალხმა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში ბოლშევიკური პარტიის, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ბრწყინვალე ეკონომიური და მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა.

ომმა გამოააშკარავა ბურჟუაზიულ-პარლამენტური წყობილების დრომოჭმულობა და სიდამპლე, ფაშისტური რეჟიმის მანკიერება და განწირულობა. მხოლოდ საბჭოთა, სოციალისტურმა წყობილებამ გაუძლო ომის გამოცდას. გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა. ომმა ნათელყო საბჭოთა დემოკრატიული წყობილების უპირატესობანი ბურჟუაზიულის წინაშე, საბჭოთა დემოკრატიის ძალა და ცხოველმყოფელობა, ნათელყო, რომ „სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველნი არიან". საბჭოთა დემოკრატიის ცხოველმყოფელმა ძალამ თავი იჩინა საბჭოთა ხალხის ომისშემდგომ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაშიც. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა ქვეყნებმა თავი ვერ გაართვეს საკუთარი ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების ამოცანას და კრიზისის წინაშე დგანან, საბჭოთა ხალხი წარმატებით, ოთხ წელიწადში ანხორციელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალ ხუთწლიან გეგმას.

თანამედროვე დემოკრატიის ყველა ფორმის ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის გამოცდა მეორე მსოფლიო ომით არ დამთავრებულა. ეს გამოცდა, შემოწმება გრძელდება ახლაც, მტკიცე მშვიდობისათვის, ნამდვილი სახალხო დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ახლა მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის ცხადია, რომ ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ხალხთა დემოკრატიული უფლებებისათვის იბრძვის მხოლოდ სტალინური კონსტიტუციის ქვეყანა,— საბჭოთა კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც საბჭოთა არმიის დახმარებით დაამხეს იმპერიალიზმი საკუთარ ქვეყნებში, დაამყარეს ახალი ტიპის, სახალხო დემოკრატიული წესწყობილება და შეუდგნენ სოციალისტურ მშენებლობას.

სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება სოციალიზმისა და დემოკრატიის პოზიციები მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მეტად იჩენს თავს დემოკრატიის და სოციალიზმის უდიდესი ორგანიზატორული ძალა. იმპერიალისტური რეაქციის ვერავითარი ცდა ვერ შეაჩერებს თანამედროვეობის ყოვლისმძლე მოძრაობას კომუნიზმისაკენ.

ი. ნატროშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შედგა, განიხილა ორი საკითხი: ქუთაისის საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ და პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის პირველი შედეგების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნარსიამ, რომელმაც პლენუმს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს ანგარიშები და არჩევნები ქალაქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, შეეხო აგრეთვე კომკავშირულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის საკითხებს.

ამხ. ნარსიას მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 9 კაცი.

მეორე საკითხზე — პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის პირველი შედეგები — მოხსენებით გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. გ. რუხაძე. კამათში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კაცმა.

განხილულ საკითხებზე მიღებულია სათანადო დადგენილებანი:

პლენუმის გადაწყვეტილებით ქუთაისის მე-12 საქალაქო პარტიული კონფერენცია მოწვეული იქნება მიმდინარე წლის 25 დეკემბერს.

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

ექვსასი აგიტატორი სოფლად

ახალციხე, (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომმა მოაწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და პარტორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით პარტორგანიზაციებისა და აგიტკოლექტივების ამოცანების შესახებ. მოსახლეობაში იკითხება ლექციები და მოხსენებები თემებზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა", „საბჭოთა სასამართლოების ფუნქციები", „სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა" და სხვ.

რაიონულ პარტკაბინეტში და სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო არჩევნებთან დაკავშირებული ლიტერატურის გამოფენა, გამოვიდა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

რაიონში 600-ზე მეტი აგიტატორი ეწევა არჩევნების დებულების პოპულარიზაციას.

გაჩაღდა სააგიტაციო მუშაობა

ხაშური. (საკ. კორ.). ცენტრსა და სოფლებში გაჩაღდა სააგიტაციო მუშაობა სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით.

საელმავლო დეპოს აწევითი სამქროს აგიტატორმა ლ. ქვირიამ არჩევნების დებულების შესახებ უკვე მოაწყო სამი საუბარი. საუბრებს კარგად აწყობენ აგიტატორები ა. ზაზიკაშვილი და ნამგალაძე. დეპოს № 8 საერთო საცხოვრებელში დიასახლისებთან დებულების პოპულარიზაციას ეწევა აგიტატორი ოლია ბუხნიკაშვილი.

რაიკომის პარტიულ კაბინეტთან მოეწყო ლიტერატურის გამოფენა და შემუშავებულ იქნა ლექციების თემატიკა.

სტახანოვური შრომისათვის

თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავემ" აგროღონისძიებების გატარების შედეგად წელს ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანა, 140 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 48 ცენტნერი ყურძენი.

შრომის სწორად მოწყობით გ. ჭურღულაშვილის რგოლმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 117 ცენტნერი ყურძენი, რ. ჯაჭვაძის რგოლმა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 114 ცენტნერი, შ. ლუცუბიძის რგოლმა 3 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 111 ცენტნერი.

მოწინავე კოლმეურნეთა შრომა ღირსეულად დაფასდა. კოლმეურნეობაში დაიწყო პრემიების გაცემა. მარტო პრემია-წანამატის სახით კოლმეურნე მ. კირვალიძემ 840 კილოგრამი ყურძენი მიიღო, მ. მშვენიერიძემ — 881, ლუცუბიძემ — 823, რ. ჯაჭვაძემ — 849, ვ. ჯაჭვაძემ — 873, ი. ქვასროლიაშვილმა — 743, მ. ჭურღულაშვილმა — 722 კილოგრამი ყურძენი. წელს კოლმეურნეობაში შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით გაიცა 21 ტონა ყურძენი. შრომადღეზე კი 2 ლიტრი ღვინო განაწილდება.

ბარაქიანი მოსავლით ფრთოვანებული კოლმეურნეები გაცხოველებით აწარმოებენ ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს.

გ. კირვალიძე
გაზეთ „კოლმეურნის ხმის" რედაქტორი

საქდესის ცნობა

საბჭოთა მხარის განმარტება ბ-ნ ბრამუგლიას ხუთ კითხვაზე 20 ნოემბერს გადაცემული პასუხების გამო

ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

მას შემდეგ, რაც საბჭოთა მხარემ 1948 წლის 20 ნოემბერს პასუხი გასცა ბ-ნ ბრამუგლიას მიერ ოთხი სახელმწიფოსათვის მიცემულ კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბერლინში ერთიანი ვალუტის სახით საბჭოთა ზონის გერმანული მარკის შემოღებასა და მიმოქცევასთან, გამოქვეყნებულ იქნა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც შეეხებიან აღნიშნულ საფინანსო ღონისძიებებს. ამ დოკუმენტებს ეკუთვნის—საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა 1948 წლის 23 ნოემბრის მემორანდუმი, რომელიც შეიცავს სამი სახელმწიფოს მთავრობათა პასუხებს ბ-ნ ბრამუგლიას მიერ დასმულ კითხვებზე; საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა 1948 წლის 28 ნოემბრის დამატება სამი სახელმწიფოს აღნიშნული მემორანდუმისადმი იმ დოკუმენტის ტექსტის დანართით, რომელიც ინგლისელმა გენერალმა რობერტსონმა შეიტანა 1948 წლის 7 სექტემბერს ბერლინის მთავარსარდალთა თათბირზე, მაგრამ რომელიც მათ არ განუხილავთ მოლაპარაკების შეწყვეტის გამო, აგრეთვე ზოგიერთი წინადადებანი ბერლინის საკითხზე, რომლებიც ბ-ნმა ბრამუგლიამ ა. ი. ვიშინსკის გადასცა.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მხარეს საჭიროდ მიაჩნია გამოაქვეყნოს შემდეგი განმარტება.

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა 23 ნოემბრის მემორანდუმისა და ამ მემორანდუმისადმი საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა 28 ნოემბრის დამატებათა შესახებ, საბჭოთა მხარე, ოთხ მთავრობას შორის 30 აგვისტოს, შეთანხმებული დირექტივის საფუძველზე, ემყარება ჯერ კიდევ გადაუწყვეტლად დარჩენილი იმ პრობლემების შემდეგ გაგებას, რომლებზეც ლაპარაკია სამი სახელმწიფოს მემორანდუმში ბ-ნ ბრამუგლიას ხუთი კითხვის პასუხად:

პირველი პრობლემაა მთელი ბერლინისათვის გერმანიის საემისიო ბანკის მიერ მისაცემი ვალუტისა და კრედიტების ოდენობის განსაზღვრა.

მთელი ბერლინისათვის გერმანიის საემისიო ბანკის მიერ მისაცემი ვალუტის თავდაპირველი თანხა განსაზღვრული იქნება, გარდა ბერლინში უკვე მიმოქცევაში არსებული გერმანიის საემისიო ბანკის გერმანული მარკებისა, „ბ" მარკების თანხით, რომლებიც წარდგენილი იქნება გადასაცვლელად, ოთხი სახელმწიფოს მიერ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად. გერმანიის საემისიო ბანკი ვალუტისა და კრედიტების მიცემას შემდეგში აწარმოებს იმ ოდენობით, რასაც დააწესებს ოთხმხრივი საფინანსო კომისია, ამასთან, როგორც სწორად არის ნათქვამი გენერალ რობერტსონის პროექტში, „საფინანსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებებს ექნება კანონის ძალა, ხოლო ის პუნქტები, რომლებზეც უთანხმოება იქნება, გადაეცემა მთავარსარდლებს და, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობებს".

მეორე პრობლემაა იმ მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდება დისკრიმინაცია ბერლინში ვალუტისა და კრედიტების მიცემის მხრივ.

ოთხმხრივი საფინანსო კომისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, როგორც ეს აღნიშნული იყო ბ-ნ ბრამუგლიას კითხვებზე საბჭოთა მთავრობის პასუხში, მეთვალყურეობის გაწევა, რომ არ მოხდეს დისკრიმინაცია ან დასავლეთი მარკების მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული მოქმედება ბერლინში გამოშვებული ამ მარკების გადაცვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე, რომ თანასწორი პირობები იქნას დაცული ვალუტისა და საბანკო და საკრედიტო ხელმისაწვდომ შესაძლებლობათა მხრივ ბერლინის ყველა სექტორში.

რაც შეეხება პასუხებს, რომლებიც სამი სახელმწიფოს მემორანდუმშია გაცემული ბ-ნ ბრამუგლიას მიერ დასმულ კითხვებზე, საბჭოთა მხარე შემდეგი აზრისაა.

1. ბ-ნ ბრამუგლიას პირველ კითხვაზე—იმის შესახებ, თუ რომელი ორგანოები განახორციელებენ ოთხმხრივ კონტროლს საფინანსო შეთანხმებებისადმი ოთხი მაოკუპირებელი სახელმწიფოს სახელით.

ამ კითხვაზე სამი სახელმწიფოს მემორანდუმში გაცემული პასუხი არ ეწინააღმდეგება საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისს, რომელიც ჩამოყალიბებულია მის პასუხში ბ-ნ ბრამუგლიას შესაბამის კითხვაზე.

2. ბ-ნ ბრამუგლიას მეორე კითხვაზე — იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ოთხმხრივი საკონტროლო ორგანოების ფუნქციები.

ქვემოთ ჩამოყალიბებულია საბჭოთა მხარის პოზიცია სამი სახელმწიფოს მემორანდუმის ექვს პუნქტზე ამ კითხვასთან დაკავშირებით:

A) ამ კითხვაზე სამი სახელმწიფოს პასუხის პირველი პუნქტი გულისხმობს, რომ საფინანსო კომისია განახორციელებს კონტროლს ბერლინის მთელი ფულადი, საკრედიტო და საბანკო საკითხებისადმი.

საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ ოთხი მთავარსარდლისათვის 30 აგვისტოს მიცემული დირექტივის შესაბამისად, საფინანსო კომისიის ფუნქციებს უნდა შეადგენდეს კონტროლი იმ საფინანსო ღონისძიებებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია ბერლინში ერთიანი ვალუტის სახით გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის გერმანული მარკის შემოღებასა და მიმოქცევასთან.

B) მეორე პუნქტი ძირითადად ემთხვევა იმას, რაც განაცხადა საბჭოთა მხარემ, რომელიც უკვე აღნიშნავდა, რომ ვალუტის და სავსებით ხელმისაწვდომ საბანკო და საკრედიტო შესაძლებლობათა მიმართ ბერლინის ყველა სექტორში მინიჭებულ უნდა იქნას თანაბარი პირობები, ესე იგი, დაშვებული არ უნდა იქნას დისკრიმინაცია. ეს შეეხება ბერლინის ყველა საქალაქო საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებიც მოქმედებდნენ ამა წლის 24 ივნისამდე, როცა ბერლინის სამ სექტორში მიმოქცევაში იყო დასავლეთის „ბ" მარკა.

C) მესამე პუნქტი. საბჭოთა მხარეს საჭიროდ მიაჩნია გერმანიის საემისიო ბანკის ბერლინის კანტორის შექმნა, რომელიც განახორციელებს საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკას ბერლინში საფინანსო კომისიის კონტროლით ოთხმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე.

D) მეოთხე პუნქტი. საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ საფინანსო კომისიამ მეთვალყურეობა და კონტროლი უნდა განახორციელოს ბერლინის ქალაქის ხელისუფალთა საგადასახადო პოლიტიკისა და საფინანსო საქმიანობისადმი და დაამტკიცოს ისინი საოკუპაციო ხარჯების მაქსიმალური შემცირების, აგრეთვე ბერლინის ბიუჯეტის უდეფიციტობის პირობით.

E) მეხუთე პუნქტი. საბჭოთა მხარე წინააღმდეგი არ არის იმ დებულებისა, რომ საფინანსო კომისიამ მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს შეთანხმებას ბერლინისათვის როგორც ერთიანი ვალუტის — საბჭოთა ზონის გერმანული მარკის შემოღებისა და ბერლინში ხმარებიდან დასავლეთის „ბ" მარკის ამოღების შესახებ.

F) მეექვსე პუნქტი. საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ ლიცენზიები ბერლინიდან იმპორტისა და ექსპორტისათვის უნდა გასცეს საფინანსო კომისიამ.

საბჭოთა მხარეს საჭიროდ მიაჩნია გაითვალისწინოს, რომ საფინანსო კომისია კონტროლის განხორციელებისას ემყარება ამა წლის 30 აგვისტოს დირექტივით გათვალისწინებული გარანტიების დაცვას იმის თავიდან ასაცილებლად, რომ ბერლინში საბჭოთა ზონის გერმანული მარკის გამოყენებამ არ გამოიწვიოს ფულის მიმოქცევის მოშლა ან ვალუტის სიმტკიცის დარღვევა ოკუპაციის საბჭოთა ზონაში.

3. ბ-ნ ბრამუგლიას მესამე კითხვაზე —რა საფინანსო ოპერაციებისადმი და რომელ რაიონებში განხორციელდება ოთხმხრივი კონტროლი.

საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ ოთხმხრივი კონტროლი უნდა განხორციელდეს ბერლინში ყველა იმ ოპერაციისადმი, რომლებიც გათვალისწინებულია მის პასუხში მეორე კითხვაზე.

4. ბ-ნ ბრამუგლიას მეოთხე კითხვაზე—იმის შესახებ, თუ როგორია იმ დირექტივის ზუსტი რედაქცია, რომელიც გამოშვებულ უნდა იქნას ოთხმხრივი კონტროლის განსახორციელებლად.

საბჭოთა მხარე იმის წინააღმდეგი არ არის, რომ შეთანხმება ძალაში შევიდეს ოთხი მთავარსარდლის ბრძანებით.

5. ბ-ნ ბრამუგლიას მეხუთე კითხვაზე —იმის შესახებ, თუ როგორ გაეწევა კონტროლი ვაჭრობას ბერლინსა და გერმანიის დასავლეთ ზონებსა და მესამე ქვეყნებს შორის, საექსპორტო-საიმპორტო ლიცენზიების გაცემის ჩათვლით.

საბჭოთა მხარეს მიაჩნია, რომ მთელი საქონლის შეტანა და გატანა ბერლინში და ბერლინიდან უნდა ხორციელდებოდეს ოთხმხრივი საფინანსო კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე, ნეტო-ბალანსის დაცვით, სურსათის, საქონლისა და ელექტროენერგიის იმ მიწოდებათა ჩაუთვლელად, რომლებიც საოკუპაციო ხელისუფალთ აკისრიათ ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად ბერლინისათვის დახმარების გაწევის წესით, ამასთან ამ მიწოდებათა ღირებულება, ალბად, ჩაირიცხება მაგისტრატის სავალო ვალდებულებებში. ოკუპაციის საბჭოთა ზონაზე იმ საქონლის გატარება, რომელზეც ლიცენზიას გასცემს საფინანსო კომისია, დაუბრკოლებლად უნდა ხორციელდებოდეს.

ბ-ნ ბრამუგლიას წინადადების გამო, რომ შეიქმნას საფინანსო ექსპერტთა კომისია ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებისაგან (არგენტინა, ბელგია, კანადა, ჩინეთი, კოლუმბია, სირია), საბჭოთა მხარემ 29 ნოემბერს უკვე აცნობა ბ-ნ ბრამუგლიას, რომ ეს საკითხი ამ ქვეყნების წარმომადგენელთა საქმეა. ამასთან აღნიშნული იყო, რომ თუ ასეთი კომისია შეიქმნება, საბჭოთა მხარეს შეუძლია ამ კომისიას მისცეს საჭირო ინფორმაცია.

რაც შეეხება ბერლინის საკითხზე ბ-ნ ბრამუგლიასათვის უკანასკნელ დღეებში გადაცემულ სხვა წინადადებებს, საბჭოთა მხარის დამოკიდებულება ამ წინადადებებისადმი განისაზღვრება საბჭოთა კავშირის პოზიციით, რომელიც ა. ი. ვიშინსკიმ ჩამოაყალიბა უშიშროების საბჭოში ბერლინის საკითხის განხილვისას. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ ცნობილ წინადადებას ეგრეთწოდებული „ნეიტრალი სამსახურის კომისიის" შექმნის შესახებ, საეჭვოა, რომ შედეგად რაიმე პროგრესი მოჰყვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგუთი ძველი და ახალი

თორმეტი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია — ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი. საბჭოთა ხალხმა ახალ კონსტიტუციას უწოდა მისი დიდი შემოქმედის, პარტიისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღე—5 დეკემბერი—ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სახალხო ზეიმის დღედ იქცა.

სტალინური კონსტიტუციის მიღებიდან განვლილი თორმეტი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ყოველ მოპოვებულ მიღწევაში ნათლად გამოსჭვივის საბჭოთა დემოკრატიის, მისი დიადი იდეებისა და პრინციპების ზეიმი, სტალინური კონსტიტუციის უძლეველი ძალა.

სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი, სსრ კავშირის მოქალაქეთა წმიდა უფლებანი და მოვალეობანი. მასში ჩაწერილია ყოველივე ის, რაც მოპოვებულია ჩვენი ხალხის მიერ და განმტკიცებულია კანონით.

სწორედ ამის შესახებ არის მოთხრობილი ქვემოთ ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის ცხოვრების ფაქტებით. მკითხველი კონკრეტული მაგალითებით გაეცნობა იმ შესანიშნავ ნაყოფს, რაც სტალინურმა კონსტიტუციამ მისცა ამ სოფლის გლეხკაცობას და ყველა მშრომელს.

გეგუთელთა მიღწევები და წარმატებანი დამახასიათებელია მზიური საქართველოს ყოველი დიდი და პატარა სოფლისათვის, ქალაქისა და დაბისათვის, რომელთა წინსვლასა და აღმავლობაში სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპების გამარჯვებას ვხედავთ.

განხორციელებული ოცნება

გეგუთი, თუმცა ქუთაისს თხუთმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული, ძველად მეტად ჩამორჩენილ და უკულტურო კუთხედ ითვლებოდა. გეგუთელთა მდგომარეობა არაფრით განსხვავდებოდა ჩვენი ქვეყნის სხვა სოფლების გლეხკაცობის მდგომარეობისაგან. აქაც სიღატაკე, უუფლებობა, ჩაგვრა იყო გამეფებული.

სოფელს „მართავდა" მეფის ხელისუფალთა მიერ დაყენებული ერთი მამასახლისი. ჩაფრებსა და პოლიციელებს აკლებული ჰყავდათ მოსახლეობა, მამასახლისთან საჩივრით მისულ გლეხებს მათრახითა და დაპატიმრებით უმასპინძლდებოდნენ.

ჩრდილოეთიდან დიდი ოქტომბრის ქარიშხალმა დაჰბერა. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გარევოლუციონერებული ჯარისკაცები შინ დაბრუნდნენ. მათ ჩამოიტანეს სიმართლე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ, რომლებიც ბოლშევიკურმა პარტიამ შექმნა დიდი ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

გეგუთლები ოცნებობდნენ ასეთსავე ხელისუფლებაზე, სადაც მათ ჰყოლებოდათ თავიანთი წარმომადგენლები, მშრომელთა კეთილდღეობის მოჭირნახულე ადამიანები.

გავიდა წლები...

მათ ოცნება აუსრულდათ. საქართველოში დამყარდა ნანატრი საბჭოთა ხელისუფლება. გლეხკაცობა წელში გასწორდა, თავისუფლად ამოისუნთქა, ახალი ცხოვრების შენებას თვითონ შეუდგა. ხალხის წარმომადგენლები ჩადგნენ ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში. გეგუთი აღმავლობის გზით წავიდა წინ. მოპოვებული წარმატებანი ოქროს ასოებით ჩაიწერა სტალინურ კონსტიტუციაში 1936 წელს.

„მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით"—ნათქვამია სტალინური კონსტიტუციის მე-3 მუხლში. ეს ფაქტია, ამას ნათლად ამტკიცებს გეგუთელთა ცხოვრების სინამდვილე.

მშრომელთა დეპუტატების გეგუთის სასოფლო საბჭოში, რომელიც ხელმძღვანელობს სოფლის მთელ სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, არჩეულია 25 დეპუტატი, მათ შორის 21 კოლმეურნეა, 2 მასწავლებელი, 1 აგრონომი და 1 მოსამსახურე. სასოფლო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან სოფლის წარჩინებული ადამიანები. სოფელში ქებით იხსენიებენ ორდენოსან დეპუტატ ირაკლი ამაღლობელს, რომელიც სტახანოველი კოლმეურნეა და შრომაში პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს დანარჩენ გლეხებს. საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ ხალხში ორდენოსანი დეპუტატები ნიკოლოზ კილაძე და სამსონ სირაძე, დიმიტრი მუშკუდიანი და მრავალი სხვა.

სტახანოველი კოლმეურნე თამარ ონისიმეს ასული ნარჩემაშვილი მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო კოლმეურნეობა „წინსვლის" გამგეობის თავმჯდომარე ამხ. იონა ფესტვენიძე გასულ წელს მეორედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მიწა სხვისი აღარ არის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გეგუთის ახლანდელი ტერიტორიის 3.300 ჰექტარი მიწიდან გლეხებს მხოლოდ ერთი მესამედი ეკუთვნოდათ. დანარჩენი მიწა მემამულე ქორქაშვილის, იაშვილის, ამაღლობელის და მდივნის საკუთრებას შეადგენდა. მთელი დღის შრომით ილაჯგაწყვეტილ იონა ფესტვენიძის გულში, როცა ფეხაკრეფით შევიდოდა თავის ქოხში და მბჟუტავ კერიას მიუჯდებოდა, ათასგვარი ფიქრი დაისადგურებდა ხოლმე.

„ე როგორ არის ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია?
მიწა სხვისაა, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია"...

ჩაილაპარაკებდა თავისთვის.

— მუდამ ასე ხომ არ იქნება? მოვა ჩვენი დროც. მიწა მას გადაეცემა, მოსავალიც მისი იქნება, ვინც მიწაზე ოფლსა ღვრის,—ფიქრობდა იონა.

ასევე ფიქრობდნენ, ამისათვის იბრძოდნენ ამ სოფლის დანარჩენი გლეხებიც...

საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, ქარხნები, ფაბრიკები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, საყოველთაო სახალხო კუთვნილებად აღიარა. გლეხობა გაერთიანდა კოლმეურნეობებში, სახელმწიფომ მათ გადასცა ყველაზე საუკეთესო მიწები. სტალინური კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, ემაგრებათ მათ უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში, ესე იგი სამუდამოდ".

იონას ფიქრები სინამდვილედ იქცა. ახლა გეგუთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ორი კოლმეურნეობაა შექმნილი: ზედა გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა" და ქვედა გეგუთის — „ოქტომბერი". ორივე კოლმეურნეობაში გაერთიანებულია ამ სოფლის მოსახლე 750 კომლი. სახელმწიფო აქტით უვადო სარგებლობაში კოლმეურნეობებს გადაცემული აქვთ 3.340 ჰექტარი საუკეთესო მიწა. შრომისმოყვარე ადამიანებია გეგუთლები. მარტო კოლმეურნეობა „წინსვლის" ფულადმა შემოსავალმა გასულ წელს 1.500 ათას მანეთს გადააჭარბა. წელს, წინასწარი ვარაუდით, შემოსავალი უფრო მეტი იქნება. კარგად ცხოვრობენ გეგუთელი კოლმეურნეები. მათი კეთილდღეობის წყარო კოლმეურნეობის სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებაშია, რასაც ისინი თავდადებული შრომით აღწევენ.

დიდხანს ამ სოფელში ძირითადად განვითარებული იყო სიმინდის კულტურა. უკანასკნელ წლებში სერიოზული ყურადღება დაეთმო მებოსტნეობას და მევენახეობის განვითარებას. კოლმეურნეობა „წინსვლას" ვენახი გაშენებული აქვს 45 ჰექტარზე, აქედან 39 ჰექტარი სრულმოსავლიანია. გეგუთლებმა წელს ყურძნის უხვი მოსავალი მოიწიეს, 39 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 58 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერისა.

გეგუთელი გლეხკაცობა წინათ ღატაკად ცხოვრობდა. საზიაროდ და იჯარით აღებულ მიწაზე მოყვანილი მოსავლის სამი მეოთხედი მიწის მეპატრონეს მიჰქონდა. ახლა კი, კოლმეურნეობათა განმტკიცების მეოხებით, კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა საშუალო გლეხის კვალობაზე და უფრო უკეთესად ცხოვრობს. ყოველ კოლმეურნეს პირად სარგებლობაში ჰყავს ძროხა, შინაური ფრინველი და სხვა პირუტყვი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად.

კოლმეურნეობებს აქვთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეღორეობის, მექათმეობის და მეცხენეობის სანიმუშოდ მოწყობილი ფერმები, ხოლო ამ ბოლო დროს ფუტკრის მოშენებასაც მოჰკიდეს ხელი.

სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს. საკმარისია ითქვას, რომ ქუთაისის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ყოველწლიურად ამუშავებს ამ კოლმეურნეობათა მიწების ერთ მესამედზე მეტს.

გეგუთლები პირნათლად ასრულებენ ყოველგვარ სახელმწიფო ვალდებულებას. მარტო მიმდინარე წელს სოფელი სახელმწიფოს აბარებს 23 ტონაზე მეტ ხორცს, 40.480 ლიტრ რძეს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქტებს.

იონა ფესტვენიძე, ძველი ცხოვრების ჭირ-ვარამში გამოვლილი, დღეს სოფლის მოთავე, რჩეული ადამიანია. ის ამჟამადაც ფიქრობს, მაგრამ, არა იმაზე, თუ რით ირჩინოს თავი, არამედ კოლმეურნეობის წინსვლასა და განვითარებაზე, კოლმეურნეთა ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე და გამშვენიერებაზე, საბჭოთა სამშობლოს შემდგომ გაძლიერებაზე.

მოვალეობისა და ღირსების საქმე

კოლმეურნეობა „წინსვლის" გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში შესვლისას თქვენს ყურადღებას იპყრობს სტალინური კონსტიტუციის მე-12 მუხლის ამონაწერი:

> „შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობას და ღირსების საქმეს პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არცა ჭამს".

— ამ პრინციპს ჩვენი კოლმეურნეები მტკიცედ იცავენ,—ამბობს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. სირაძე და იგი კონკრეტული მაგალითებით ადასტურებს თავის ნათქვამს.

აი თუნდაც ფაქტი. უკანასკნელ წლებში მამაცური შრომისათვის ამ სოფლის ორასამდე კოლმეურნე და მოსამსახურე მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. დაჯილდოებულთა შორის ვხედავთ კოლმეურნეობა „წინსვლის" გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. იონა ფესტვენიძეს, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე, როგორც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, დაჯილდოებული იყო „დიდი ოქროს მედლით", აგრონომ ვლადიმერ ბერაძეს და მეაბრეშუმე ნინო ბოდოკიას, აგრეთვე უხვი მოსავლის სხვა მრავალ ოსტატს.

მთავრობის მიერ, სამშობლოს მიერ ადამიანის შრომის ასეთი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი. ეს აღაფრთოვანებს მასებს ახალ-ახალი საგმირო საქმისათვის შრომის ფრონტზე.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობა „წინსვლის" 570 კოლმეურნემ, მათგან ნახევარზე მეტმა ორმაგად, გადააჭარბა დაწესებული შრომადღეების მინიმუმს. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატმა მერგოლურმა ამბროსი მუშკუდიანმა გასულ წელს მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე მიიღო 72,5 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37 ცენტნერისა. კოლმეურნე ალექსანდრე თუთბერიძემ 1 ჰექტარ ფართობზე მოიწია 74 ცენტნერი სიმინდი. მას დიდად გაუსწრო კოლმეურნე შალვა მამისეიშვილმა, რომელმაც ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი მოიწია.

ყურძნის სარეკორდო მოსავალი მოიყვანა წელს მერგოლურმა გრიგოლ მუშკუდიანმა. მან მიჩენილი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 102,8 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერისა. ბრიგადირმა სევერიან მუშკუდიანმა 18 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 69,18 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

უხვი მოსავლის ოსტატების შრომას აქ დიდად აფასებენ. ამ ადამიანთა გამოცდილებას ასობით სხვა კოლმეურნე სწავლობს. სოფელსა და რაიონში მათ ქება-დიდებით იხსენიებენ, კრებებსა და თათბირებზე მათს შესახებ სიყვარულით ლაპარაკობენ.

მამაცური შრომის შემდეგ...

„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება" — ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

ამ უფლების განხორციელებისათვის გეგუთში შექმნილია ყველა პირობა. მიუხედავად გაჩაღებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა, წელს ზაფხულის განმავლობაში 20-მდე მოწინავე კოლმეურნე საგზურებით გაიგზავნა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ამათ გარდა, სოფლის ყველა დანარჩენმა მოსამსახურემ ისარგებლა კანონით გათვალისწინებული შვებულებით.

განსაკუთრებული სიძლიერით განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გეგუთის კულტურული ცხოვრება. სოფელს აქვს კლუბი, ორი სამკითხველო 4.500-ზე მეტი წიგნის ფონდით. კლუბთან არსებობს დრამატული, მომღერალთა წრეები. კლუბში არის კინოდანადგარი. ყოველ შაბათობით და კვირაობით აქ უჩვენებენ ახალ ფილმებს.

განსაკუთრებული სიდიადით მოჩანს გეგუთელთა ცხოვრების ფონზე მოქალაქეთა განათლების უფლება, რაც ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლში.

სად, რომელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში შეუძლია მშრომელს დაეუფლოს მეცნიერებას, მიიღოს განათლება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, კულტურულად მოაწყოს თავისი ცხოვრება! არსად, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში.

სოფელ გეგუთში საბჭოთა ხელისუფლებამდე თითებზე ჩამოითვლებოდა წერა-კითხვის მცოდნე გლეხი. სოფლად სამი ეკლესია იყო. ახლა სოფელში მოქმედებს ერთი საშუალო და ერთი 8-წლიანი სკოლა, რომლებშიც კოლმეურნეთა 900-მდე ბავშვი სწავლობს. ამას გარდა, სოფელში არის საბავშვო ბაღი, ბავშვთა ბაგა, სამშობიარო სახლი, რომლებიც ამ სოფლის კოლმეურნეებს ემსახურებიან. კოლმეურნეებს ემსახურება საექიმო პუნქტი კბილის სამკურნალო ამბულატორიით, ახლადაშენებული აბანო და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გეგუთში უმაღლესი განათლებით ვერავის ნახავდით, ახლა კი 40-ზე მეტი მკვიდრი უმაღლესი განათლების მქონეა, რომლებიც თავიანთი მშობლიური სოფლის კულტურული აღორძინების საქმეს ემსახურებიან. გეგუთლებიდან ამჟამად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 20-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს.

ქალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე

ის უდიდესი მიღწევები, რაც გეგუთის კოლმეურნეებს აქვთ მოპოვებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ სოფლის ქალების აქტიური მონაწილეობის შედეგიცაა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, ქალს „სსრ კავშირში ენიჭება მამაკაცის თანაბარი უფლებანი სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში".

— ჩვენი ქალები თავიანთი შრომითა და აქტივობით მამაკაცებს არაფრით არ ჩამორჩებიან! — ამბობს კოლმეურნეობა „წინსვლის" პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. მუშკუდიანი.

ეს რომ სინამდვილეა, ამას ფაქტები ცხადყოფენ. სასოფლო საბჭოს დეპუტატთა შორის 9 ქალია. ესენი არიან მოწინავე კოლმეურნეები: ქსენია გაგოშიძე, მარო მუშკუდიანი, ნადია გონგაძე, ვერა ჯიქიძე, მასწავლებელი ქეთევან ხოჯავა და სხვები, რომელთა დახმარებით და აქტიური მონაწილეობით სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ბევრი საზოგადოებრივ-სასიკეთო საკითხი მოაგვარა. საბავშვო ბაღის მოწყობა იყო და — დეპუტატმა ქალებმა ითავეს ეს საქმე. ბავშვთა ბაგის მოწყობის საკითხშიც ინიციატივა მათ ეკუთვნით. სამშობიარო სახლის შესახებაც მათ იზრუნეს. ახლა დეპუტატმა ქეთევან ხოჯავამ სასოფლო საბჭოს აღმასკომში დააყენა სოფლის რადიოფიკაციის საკითხი.

დეპუტატ ქალთა ინიციატივით საბჭოს აღმასკომი სწავლობს საბჭოთა არმიის მეომრების ოჯახების მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში უწევენ მათ დახმარებას. სოფელში 38 მრავალშვილიანი დედაა, მათ შორის ერთი გმირი დედა. ამ ოჯახებისათვის მზრუნველობაც ნაკისრი აქვთ დეპუტატ ქალებს. მრავალი მათგანი შრომაში თავდადებისათვის მთავრობის მიერ დაჯილდოებულია მედლებით.

ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიზმის დროშით

სტალინური კონსტიტუციის 125-ე მუხლი მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეთათვის კანონით უზრუნველყოფს: სიტყვის თავისუფლებას, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, კრებებისა და მიტინგების თავისუფლებას, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლებას.

გეგუთლები საკოლმეურნეო ცხოვრების აყვავებისათვის ძალღონეს არ იშურებენ. მათ ამ საქმეში მომარჯვებული აქვთ ბეჭდვითი სიტყვაც რაიონულ გაზეთ „სიმართლის" სახით და კედლის გაზეთებიც, რომელთა რაოდენობა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ათამდეა. რაიონული გაზეთი სოფელში 350-ზე მეტი ცალი ვრცელდება. რაიონულ გაზეთსა და კედლის გაზეთებში 80-მდე სოფლკორი და კედლკორი თანამშრომლობს. ისინი ამ გაზეთებში წერენ როგორც მოპოვებული მიღწევების და დადებითი გამოცდილებათა შესახებ, ისე ნაკლოვანებებზე. ამით ისინი ხელს უწყობენ სოციალისტური წყობილების განმტკიცებას, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრას. მოსახლეობაში სისტემატურად იმართება კრებები, მიტინგები, საუბრები და ლექციები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ახლა გეგუთლები ემზადებიან სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის, რაც სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდება. ისინი სწავლობენ არჩევნების დებულებას, ამზადებენ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს.

გეგუთლები სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში

„სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის უწმინდესი მოვალეობა" — გეგუთლებს ღრმად აქვთ შესისხლხორცებული დიადი სტალინური კონსტიტუციის ამ სიტყვების მნიშვნელობა.

მათ ეს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაამტკიცეს. 500-მდე გეგუთელი ვაჟკაცი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად გაემგზავრა ფრონტზე. მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა შვილებს მხარდამხარ ისინი დაუნდობლად ანადგურებდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს კავკასიონის მთის ძირებთან, ყუბანსა და ყირიმში, უკრაინასა და ბელორუსიაში, დნეპრთან და ვისლაზე, ბუდაპეშტსა და ბერლინის მისადგომებზე. ზოგი მათგანი გმირის სიკვდილით დაეცა სამშობლოს სამსხვერპლოზე, დიდი უმრავლესობა კი გამარჯვებით დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და კვლავ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩაება.

დღეს ნაომარი ვაჟკაცებიდან ორდენოსანი გალაქტიონ სირაძე სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობს, ორგზის ორდენოსანი შალვა მუშკუდიანი სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად, ორდენოსნები ამაღლობელი, კილაძე და მრავალი სხვები კოლმეურნეობებში ფრონტული თავდადებით განაგრძობენ შემოქმედებითს შრომას, წინ წევენ საკოლმეურნეო წარმოებას, ხელს უწყობენ სოფლის წინსვლას და აღმავლობას.

მაგრამ გეგუთელთა დამსახურება მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ მათ ფრონტზე გაგზავნეს მტერთან საბრძოლველად თავიანთი რჩეული ვაჟკაცები. ზურგში დარჩენილმა გეგუთლებმა, განსაკუთრებით ქალებმა, გმირული შრომა გააჩაღეს ფრონტის დასახმარებლად. ისინი ომის წლებში სახელმწიფო დავალებებს ორმაგი გადაჭარბებით ასრულებდნენ, ამას გარდა, თავიანთი პირადი დანაზოგით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი არმიისათვის საბრძოლო თვითმფრინავების, ტანკების და სხვა სახის შეიარაღების შესაძენად.

დიდი სამუშაოთა გეგმები

მიღწეულით დაკმაყოფილება არ ჩვევიათ გეგუთლებს. საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს. ახლა ვენახებში მუშაობენ, საფუძველს უყრიან მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს.

კოლმეურნეებში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობის 25 იანვრისათვის მოწვევის შესახებ. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ყრილობის გახსნას საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება, ნიადაგის მომზადება, იბრძვიან პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

მთელ ამ საქმიანობაში თვალსაჩინოდ მოჩანს კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი. სოფლის ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული ადამიანები გაერთიანებული არიან კომუნისტური პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში. კოლმეურნეობა „წინსვლის" პირველადი პარტორგანიზაცია 85 კომუნისტს აერთიანებს, კოლმეურნეობა „ოქტომბრის" პარტიული ორგანიზაცია კი — 55 კომუნისტს. ორივე კოლმეურნეობაში კომკავშირის წევრთა რაოდენობა 144 აღწევს. კომუნისტები და კომკავშირელები საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის პათოსით აღაფრთოვანებენ დანარჩენ კოლმეურნეებს. ისინი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები და ორგანიზატორები არიან.

უსაზღვროა გეგუთელთა სიხარული იმ დიდ წარმატებათა გამო, რაც მათ სტალინური კონსტიტუციის დროში მოიპოვეს. ამ სიხარულს და ბედნიერ ცხოვრებას ისინი უმადლიან ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, სტალინური კონსტიტუციის შემოქმედს — ხალხთა საყვარელ ბელადსა და მამას დიდ სტალინს.

საღამოს, როდესაც სოფელში ბინდი შემოაპარება და კოლმეურნეთა ოჯახებში ილიჩის ნათურები აკაშკაშდება, დღის შრომით გულდაჯერებულ კოლმეურნეთა სახლებიდან მოისმის სიმღერა სტალინზე:

„ვადიდოთ ვინც მზე აანთო, სინათლის მთენი,
სტალინი — ხალხთა სიამაყე და მამა ბრძენი!"

ა. კოკილაშვილი



გეგუთი. ამხანაგ სტალინის მონუმენტი კოლმეურნეობა „წინსვლის" ახლადგაშენებულ პარკში. საკოლმეურნეო ბიბლიოთეკაში; კოლმეურნეობა „წინსვლის" გამგეობის თავმჯდომარე იონა ფესტვენიძე (მარჯვნივ) ესაუბრება მერგოლურ გრიგოლ მუშკუდიანს; საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კომიტეტებში

უხეში პოლიტიკური თამაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის გარშემო

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ და დღეს ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა კიდევ რამდენიმე საათი მოანდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვას, თუმცა არსებითად ეს საკითხი ამოწურული იყო ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ. 26 ნოემბერს კომიტეტმა, ინგლის-ამერიკის ბლოკის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო რეზოლუციის შვედური პროექტი, რომელიც უშიშროების საბჭოს ურჩევს კვლავ განიხილოს ყველა შემოტანილი განცხადება. ეს გადაწყვეტილება ხელსაყრელი არ იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ასამბლეამ, ერთი მხრივ, ურჩიოს უშიშროების საბჭოს მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათთვის სასურველი ქვეყნები, ხოლო, მეორე მხრივ, დუმილით აუარა გვერდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მიღების საკითხს. ამიტომ შვეციის რეზოლუციის მიღების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა კომიტეტს თავს მოახვიეს რეზოლუციათა კიდევ ექვსი პროექტი, რომლებიც განსაკუთრებით აყენებენ პორტუგალიის, ტრანსიორდანიის, ირლანდიის, ავსტრიის, იტალიისა და ფინეთის განცხადებათა გადასინჯვის საკითხს. ავსტრალიის იმ რეზოლუციის განხილვა, რომელიც ცეილონს შეეხებოდა, გადაიდო თვით ავსტრალიის დელეგაციის თხოვნით.

ამ მანევრის აზრი ნათელი გახდა გუშინ, როცა თავმჯდომარე რომულომ (ფილიპინები), შესწყვიტა რა უშიშროების საბჭოში კენჭისყრის საკითხის განხილვა, წინადადება წამოაყენა დაბრუნებოდნენ ამ რეზოლუციას, ხოლო დელეგატმა ჰოჯსონმა განაცხადა, რომ მისი განხილვა გადადებულიყო იმისათვის, რათა... სსრ კავშირისა და უკრაინის დელეგაციებს შესაძლებლობა მისცემოდათ „მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია ცეილონის შუამდგომლობის შესახებ".

სსრ კავშირის დელეგატმა მალიკმა ამის გამო განაცხადა, რომ ჰოჯსონის დაგვიანებული განმარტება გაისმა უცნაურად და არადამაჯერებლად, ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამათუიმ სახელმწიფოს მიღების საკითხის განხილვა არ შეადგენს გენერალური ასამბლეისა და მისი ორგანოების კომპეტენციას, თუ არ არის უშიშროების საბჭოს სათანადო რეკომენდაციები. მალიკმა გაიხსენა, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ ხმა მისცა შვეციის რეზოლუციას და მაშინვე განაცხადა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია გადაწყვეტილების მიღება თვითეულ განცხადებაზე ცალკე, ვინაიდან უკვე მიღებულია საერთო რეკომენდაცია ყველა განცხადებათა შესახებ.

მიუხედავად ამისა, გაგრძელდა უხეში პოლიტიკური თამაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის გარშემო, რაც ინგლის-ამერიკის ბლოკმა წამოიწყო. დაიწყო ხანგრძლივი განხილვა, რომლის მსვლელობაში მთელი რიგი დელეგატები — ზოგნი ფარისევლურად, ზოგნი გულწრფელად — ცდილობდნენ გამოენახათ რაღაც „კომპრომისი".

კომიტეტის დღევანდელ დილის სხდომაზე სსრ კავშირის დელეგატმა მალიკმა ცხადყო, რომ ეს ძიება ყალბი გზით წარმოებს. კომიტეტის მიერ მიღებული შვეციის რეზოლუცია უკვე შეიცავს რეკომენდაციას უშიშროების საბჭოსადმი ყველა შემოტანილი განცხადების გადასინჯვის შესახებ. ამის შემდეგ სწორი არ იქნებოდა ცეილონის საკითხის გამოყოფა, რასაც ასე ცდილობენ ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლები. ასე მოქმედება ნიშნავს მონაწილეობა მიიღო იმ პოლიტიკურ თამაშში, რომელიც წამოიწყო ინგლის-ამერიკის ბლოკმა ახალ წევრთა მიღების საკითხის გარშემო.

— ეს პოლიტიკური თამაში, — თქვა მალიკმა, — ერთ მიზანს ისახავს: დაუფაროს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ის უდავო ფაქტი, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკი ახორციელებს, ერთი მხრივ, ფავორიტიზმის პოლიტიკას, როცა ზოგიერთ სახელმწიფოებს მფარველობს, ხოლო, მეორე მხრივ, დისკრიმინაციის პოლიტიკას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოების: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, ალბანეთის, უნგრეთისა და სხვების დაუშვებლობის პოლიტიკას, რომელთაც გაცილებით მეტი უფლებები და საფუძველი აქვთ იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები.

ხანგრძლივი, ზოგჯერ უაღრესად დაბნეული, დისკუსიის შემდეგ ინგლის-ამერიკის ბლოკმა მოახერხა გაეყვანა მისთვის სასურველი ავსტრალიის რეზოლუცია. მის წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციებმა. შვეციის, ინდოეთის, პაკისტანის, ბირმის, გვატემალის, ჰაიტის დელეგაციებმა თავი შეიკავეს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა პალესტინის საკითხზე რეზოლუციათა პროექტების განხილვა

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა პალესტინის საკითხზე რეზოლუციათა პროექტების განხილვა. ყველაზე გაცხოველებული კამათი გამოიწვია პალესტინაში არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოებს შორის საზღვრის საკითხმა.

ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელმა ებანმა სიტყვა წარმოთქვა და კომიტეტს მოუწოდა არ მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხაროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციას პალესტინას არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოებად გაყოფისა და ამ სახელმწიფოთა საზღვრების შესახებ. ებანმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზანს ისახავს ბრიტანეთის პროექტი, რამდენადაც იგი ეყრდნობა შუამავლის წინადადებებს, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგებიან ასამბლეის რეზოლუციის მთავარ დებულებებს.

ინგლისის დელეგატმა ამის გამო განაცხადა, რომ მას სურს „გააქარწყლოს გაუგებრობა, რომელიც ებანმა გამოიწვია". ინგლისის დელეგატი ამტკიცებდა, რომ სერიოზული უთანხმოება არ არის საზღვრების შესახებ ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებასა და შუამავლის წინადადებებს შორის, და რომ ეს უთანხმოება ეხება „მხოლოდ" ნეგევის ოლქის, გალილეისა და იაფის საკითხს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი თავის ბრიტანელ კოლეგას. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგაციას საზღვრების შესახებ წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბრიტანეთის უკანასკნელ გადასინჯულ პროექტში, ისევე როგორც მთელი ეს პროექტი, სწორად მიაჩნია და მხარს დაუჭერს მათ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. ცარაპკინმა ანალიზი გაუკეთა ბრიტანეთის უკანასკნელ გადასინჯულ პროექტს, რომელსაც ესოდენ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, და ცხადყო, რომ ეს პროექტი არსებითად არაფრით არ განსხვავდება ბრიტანეთის რეზოლუციის თავდაპირველი და ყველა შემდგომი ვარიანტისაგან. იცვლებოდა სიტყვები; მაგრამ საფუძველი წინანდებური რჩებოდა. ბრიტანეთის პროექტი ემყარება შუამავლის წინადადებებს იმის შესახებ, რომ ნეგევის ოლქი ისრაელის სახელმწიფოს წაერთმევა და პალესტინის მთელ არაბულ ნაწილთან ერთად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო, შეუერთდება ტრანსიორდანიას სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისი დაჟინებით ცდილობს, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოიწონოს ბრიტანეთის გეგმა პალესტინის არაბული ნაწილის და მასთან ნეგევის ოლქის ბრიტანეთის მარიონეტ ტრანსიორდანიის სასარგებლოდ ანექსიისა. ინგლისელთა ამ ანექსიონისტურ გეგმას სავსებით უჭერენ მხარს ამერიკის შეერთებული შტატები. კომიტეტში, მათ გარდა, ამ გეგმას მხარს არ უჭერს არავინ, მათ შორის არც არაბულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები და თვით არაბთა უმაღლესი კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც პოლიტიკურ კომიტეტში პალესტინელ არაბთა სახელით გამოვიდა. ბევრი დელეგატი ამ გეგმის წინააღმდეგია, ვინაიდან იგი ნაკარნახევია ინგლისის ანგარებითი ინტერესებით.

ასამბლეამ, განაცხადა ს. ცარაპკინმა, ხელი არ უნდა შეუწყოს ინგლის-ამერიკის გეგმას, რომლის მიზანია ტრანსიორდანიის გაძლიერება არაბული პალესტინის ხარჯზე მისი საზღვრების გაფართოების გზით, ნაცვლად იმისა, რომ იქ შეიქმნას არაბული სახელმწიფო. ეს იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპებისა და პალესტინის ხალხთა თვითგამორკვევის უფლების, აგრეთვე გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ღონისძიება.

სირიის დელეგატმა განაცხადა, რომ არაბული სახელმწიფოები არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოებს შორის საზღვრის შესახებ, რამდენადაც არაბული სახელმწიფოები არ ცნობენ ისრაელის სახელმწიფოს კანონიერებას. სირიის დელეგატმა თქვა, რომ იგი დაჟინებით მოითხოვს კენჭი ეყაროს პირველ რიგში მის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს, რომლის თანახმად საერთაშორისო სასამართლოს უნდა ეთხოვოს დასკვნა იმის შესახებ, უფლებამოსილი იყო თუ არა გენერალური ასამბლეა გამოეტანა გადაწყვეტილება პალესტინის გაყოფის შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პალესტინის სტატუსი ბრიტანეთის მანდატის შეწყვეტის შემდეგ.

ხანგრძლივი დისკუსია გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის სახელმწიფოს მიღების საკითხმაც. განიხილეს პოლონეთის, ავსტრალიისა და გვატემალის რეზოლუციათა პროექტებით გათვალისწინებული წინადადებანი, რომ ასამბლეამ სთხოვოს უშიშროების საბჭოს თანაგრძნობით განიხილოს ისრაელის სახელმწიფოს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ, თუ ასეთ განცხადებას შეიტანს.

პოლონეთის დელეგატმა დაიცვა პოლონეთის დელეგაციის წინადადებანი და განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოს მთავრობამ უკვე შეიტანა ასეთი განცხადება, რომელსაც განიხილავს უშიშროების საბჭო.

სირიის, ეგვიპტის, ლიბანის, ერაყის დელეგატებმა, აგრეთვე არაბთა უმაღლესი კომიტეტის წარმომადგენელმა წარმოთქვეს ვრცელი სიტყვები, რომლებშიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ისრაელის სახელმწიფო შექმნილია უკანონოდ, თითქოს დღემდე გამოურკვეველია მისი საზღვრები და იგი არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა წაუყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლის მსურველ სახელმწიფოს. არაბული ქვეყნების დელეგატებმა და არაბთა უმაღლესი კომიტეტის წარმომადგენელმა უგულებელყვეს ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ არაბული სახელმწიფოების ჯარები პალესტინაში შეიჭრნენ, რათა ხელი შეეშალათ პალესტინის გაყოფის შესახებ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის, უგულებელყვეს, რომ ისრაელის სახელმწიფო აგრესიის მსხვერპლი გახდა, და ცდილობდნენ ისრაელისათვის ბრალად დაედოთ მშვიდობისმოყვარეობის უქონლობა.

დღის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელმა შერტოკმა, რომელმაც ჩამოაყალიბა ისრაელის მთავრობის თვალსაზრისი იერუსალიმის, შემარიგებელი კომისიის ფუნქციების და სხვა საკითხებზე.

დღის სხდომის დასასრულს კამათი რეზოლუციათა პროექტების გამო დამთავრდა. თავმჯდომარემ, სანამ გადავიდოდა საკითხზე რეზოლუციათა სხვადასხვა პროექტის კენჭისყრის წესის შესახებ, კენჭი უყარა სირიის მოთხოვნას, რომ მისი პროექტი, რომელიც საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვას შეეხება, განხილული ყოფილიყო პირველ რიგში. სირიის დელეგაციის ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა. მას ხმა მისცა 20 დელეგაციამ, წინააღმდეგ ხმა მისცა 20 დელეგაციამ, თავი შეიკავა 8 დელეგაციამ.

შემდეგ ავსტრალიის დელეგატმა შეიტანა წინადადება შეიქმნას ქვეკომიტეტი, რომელიც შეეცდება შეათანხმოს სხვადასხვა წინადადებანი. ავსტრალიის წინადადება უარყოფილ იქნა ხმის უმეტესობით. ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ღამის სხდომაზე კომიტეტი შეუდგება ბრიტანეთის რეზოლუციის პროექტის განხილვასა და კენჭისყრას.

უშიშროების საბჭოში

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ისრაელის სახელმწიფოს მიღების შესახებ.

29 ნოემბერს ისრაელის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოშე შერტოკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გადასცა თავისი მთავრობის განცხადება, რომელიც შეიცავს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ისრაელის მიღების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ 1948 წლის 14 მაისს ებრაელი ხალხის ეროვნულმა საბჭომ პალესტინაში გამოაცხადა ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად. მას შემდეგ ისრაელი ადმინისტრაციულად განმტკიცდა და წარმატებით იცავდა თავს მეზობელ სახელმწიფოთა აგრესიისაგან. დღემდე იგი ცნო 19 სახელმწიფომ. განცხადებას დართული აქვს დეკლარაცია, რომლის თანახმად ისრაელი კისრულობს შეასრულოს ყველა ის ვალდებულებანი, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ორგანიზაციის წესდებით ეკისრებათ.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის შესვლის სურვილს გააფთრებით აღუდგნენ წინ არაბთა სახელმწიფოების წარმომადგენლები. არაბთა ზოგიერთი ქვეყნის დელეგატებმა ისიც კი განაცხადეს, რომ თუ ისრაელი მიღებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, არაბთა სახელმწიფოები გავლენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან.

არაბთა წარმომადგენლების ოპოზიცია გრძელდებოდა უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზეც. სირიის წარმომადგენელმა ელ-ხურიმ ყველა ღონისძიებას მიმართა, რომ არ დაეშვა უშიშროების საბჭოს მიერ ისრაელის განცხადების განხილვა. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ამის ნაცვლად უშიშროების საბჭოს განეხილა წერილები ეგვიპტისა და ლიბანის წარმომადგენლებისა, რომლებიც ითხოვდნენ საბჭოს დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო პალესტინისათვის საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის შესახებ უშიშროების საბჭოს 1948 წლის 4 ნოემბრის რეზოლუციის იმპლემენტაციის (ე. ი. სისრულეში მოყვანის — რედაქციის შენიშვნა) საკითხი, აგრეთვე ჰაიდარაბადის კონფლიქტის საკითხი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. მალიკმა აღნიშნა, რომ პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის მოვალეობის აღმსრულებელმა უშიშროების საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტს ამ დღეებში გადასცა ინფორმაცია აღნიშნული რეზოლუციის იმპლემენტაციის მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ამ საკითხის განხილვის დამთავრება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საკითხს იხილავს კომიტეტი, რომელსაც ამ საკითხზე თავისი თვალსაზრისი ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს, არ მგონია ამ საკითხის განხილვა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე მიზანშეწონილი იყოს.

უშიშროების საბჭომ უარყო სირიის დელეგატის წინადადება და შეუდგა ისრაელის განცხადების განხილვას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა გააკეთა ვრცელი განცხადება და მხარი დაუჭირა ისრაელის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ. ამით ერთხელ კიდევ გამომჟღავნდა ამერიკის შეერთებული შტატების ორპირული, ფარისევლური პოლიტიკა ისრაელის სახელმწიფოს მიმართ. უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელმაც პოლიტიკური კომიტეტის სხდომებზე მხარი დაუჭირა ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის რევიზიისადმი მიმართულ ბრიტანულ გეგმას, ვერ გაბედა უგულებელეყო ისრაელის განცხადებისადმი გენერალურ ასამბლეაში დელეგაციათა უმეტესობის თანაგრძნობა და დაჟინებით მოითხოვდა ისრაელის სახელმწიფოს რაც შეიძლება მალე მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. მან წინადადება შეიტანა, რომ ისრაელის განცხადება გადაეცეს ახალ წევრთა მიღების კომიტეტს და უკანასკნელმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ მოახსენოს უშიშროების საბჭოს არა უგვიანეს 6 დეკემბრისა.

ინგლისის წარმომადგენელი ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ისრაელი თითქოს ჯერ კიდევ „არ მომწიფებულა" იმისათვის, რომ მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, და განაცხადა, არავითარი საფუძველი არ არის „დავაჩქაროთ" მისი მიღება. მან დასძინა, რომ ინგლისის წარმომადგენელი კომიტეტშიც დაჟინებით მოითხოვს, რომ ისრაელის განცხადების განხილვა გადადებულ იქნას.

სირიის წარმომადგენელმა მკვეთრად გაალაშქრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ისრაელის მიღების წინააღმდეგ და მოითხოვა საერთოდ არ განიხილონ ისრაელის განცხადება. თავის სიტყვაში მან კვლავ გაიმეორა ყველა თავისი ბრალდება ისრაელის წინააღმდეგ, რომლებიც მას არაერთხელ მოუყვანია პოლიტიკური კომიტეტის სხდომებზე.

სირიის დელეგატმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების ორპირული პოლიტიკა პალესტინის საკითხში და განაცხადა, რომ ამერიკის წარმომადგენლის მთელი სიტყვა ალბათ განკუთვნილი იყო იმდენად არა უშიშროების საბჭოსათვის, რამდენადაც ამერიკის შეერთებულ შტატებში „საშინაო მოხმარებისათვის" და წმინდა პროპაგანდისტული ხასიათი ქონდა. მან დასძინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ალბათ მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, როცა დაჟინებით მოითხოვენ ისრაელის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ისრაელის სახელმწიფოს მიღების საკითხი მანამდე არ უნდა გადაწყდეს, სანამ პოლიტიკური კომიტეტი მთლიანად არ განიხილავს პალესტინის პრობლემას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. მალიკმა, რომელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დიდი ხანია მუშაობს პალესტინის საკითხზე, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს მას, ვიდრე ზოგიერთ სხვა საკითხებს, და რომ ამიტომ საჭირო არ არის გადაიდოს ისრაელის სახელმწიფოს განცხადების განხილვა. მალიკმა მოაგონა სხდომას პალესტინის საკითხზე გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფო დაარსების დღიდან ეწეოდა მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას და სურდა მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა სხვა ქვეყნებთან, მაგრამ ამ სურვილმა გამოძახილი ვერ ჰპოვა ვერც უახლოეს მეზობლებში, ვერც ზოგიერთ შორეულ სახელმწიფოში. ისრაელმა გვიჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და მზადყოფნა შეასრულოს ვალდებულებანი, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ორგანიზაციის წევრებს აკისრებს.

საბჭოთა დელეგაციის პოზიცია, — დასძინა მალიკმა, — პალესტინის საკითხში მუდამ პრინციპული და თანმიმდევრული იყო. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია პალესტინაში ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ებრაული და არაბული სახელმწიფოების შექმნის შესახებ ინგლისის მანდატის ვადის გასვლის შემდეგ სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც შეესაბამება როგორც ებრაელი ხალხის, ისე არაბი ხალხის ძირითად ეროვნულ ინტერესებს, რომელთაგან თვითეულს აქვს თვითგამორკვევის უფლება, თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. საბჭოთა დელეგაციას არ სჭირდება თავისი პოზიციის შეცვლა ამ საკითხში, როგორც ეს უხდება ზოგიერთი სხვა სახელმწიფოების დელეგაციებს, — ხან მხარი დაუჭირონ ხსენებულ რეზოლუციას, ხან დაჟინებით მოითხოვონ მეურვეობა ან შუამავლობა, ხან კი, ბოლოს, მოვლენათა გავლენით კვლავ დაუბრუნდნენ ასამბლეის რეზოლუციას.

მალიკმა დასძინა, რომ საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს ისრაელის განცხადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ და ასეთივე ყურადღებით განიხილავდა პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილი არაბული სახელმწიფოს განცხადებასაც, როგორც ეს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით არის გათვალისწინებული. სამწუხაროდ, პალესტინის არაბული მოსახლეობისაგან დამოუკიდებელი გარკვეული გარემოების გამო ასეთი სახელმწიფო ჯერ არ დაარსებულა.

კანადის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ ახალ წევრთა მიღების კომიტეტი უახლოეს ხანში განიხილავს ისრაელის განცხადებას. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ეს განცხადება გადაეცემა ახალ წევრთა მიღების კომიტეტს, რომელიც თავის გადაწყვეტილებას უშიშროების საბჭოს მოახსენებს.

ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესზე

ბუდაპეშტი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა ქალების დელეგაციის მეთაური ნ. პოპოვა. იგი შეეხო შვეციის დელეგატ ანდრეა ანდრეენის განცხადებას, რომლის გამთიშველმა ხასიათმა დამსწრეთა დიდი უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია.

შვეციის დელეგატის მტკიცების გამო, რომ „უნდობლობა" არსებობს დასავლეთისა და აღმოსავლეთ შორის, პოპოვამ განაცხადა, ამჟამად საქმე ეხება მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა უნდობლობას იმპერიალისტებისადმი, რეაქციონერებისადმი, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებიან ისინი.

პოპოვამ დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომაზე და აღნიშნა, რომ, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში უკვე 1947 წელს დამთავრდა დემობილიზაცია ომის დროს გაწვეული ყველა კონტინგენტისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოღებულია სავალდებულო სამხედრო ბეგარა, იქ მიმდინარეობს გააფთრებული მილიტარიზაცია.

შეეხო რა ომის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობის შედეგებს, პოპოვამ განაცხადა, რომ კონგრესი მოწმობს საერთაშორისო ფედერაციის რიგებში გაერთიანებულ დემოკრატ პროგრესულ ქალთა ბანაკის ზრდას. მაგრამ არ შეიძლება დავჯერდეთ მიღწეულს, აღნიშნა პოპოვამ, ჩვენს შვილებს, ჩვენს ბედნიერებასა და თვით ჩვენს სიცოცხლეს ახალი ომის საფრთხე მოელის და ამიტომ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა, უფრო მეტი გაქანება მივცეთ მას. ომის გამჩაღებელთ უნდა ვუპასუხოთ საყოველთაო სახალხო სიძულვილით, საყოველთაო ზიზღით. უნდა მივაღწიოთ, რომ ასეულმილიონობით ქალმა, დედამიწის რომელ კუთხეშიც უნდა იყვნენ ისინი, იცოდეს რომ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უბოროტესი მტერი არიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული წრეები, რომ მშვიდობის საქმე სერიოზულ საფრთხეშია.

პოპოვამ კონგრესის მონაწილეთა წინაშე განაცხადა, რომ საბჭოთა ქალები, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს თავიანთი მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, კვლავაც იქნებიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

ამხ. პოპოვამ რწმენა გამოთქვა, რომ კონგრესის გადაწყვეტილებანი ახალი მძლავრი სტიმული იქნება ყველა ქვეყნის ასეულმილიონობით ქალთა ბრძოლის გასაძლიერებლად მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და უშიშროებისათვის.

გუშინდელი საღამოს სხდომის დასასრულს კამათში გამოვიდნენ ჩო პენ ენი (ჩრდილოეთი კორეა), ტაი ტი-ლინი (ვიეტნამი), ჟანეტ ვერმერში (საფრანგეთი).

თავისი სიტყვის დასასრულს ჟანეტ ვერმერშმა გაშალა წითელი დროშა, რომელიც ფრანგმა ქალებმა გამოგზავნეს საბჭოთა კავშირის ქალთათვის გადასაცემად; დროშაზე საფრანგეთის ქალების ხელით ამოქარგულია მგზნებარე ფიცი: „ფრანგი დედები თავიანთ შვილებს არასოდეს არ გაუშვებენ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

ბუდაპეშტი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ქალთა საერთაშორისო კონგრესის დილისა და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა დელეგატების გამოსვლა.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ალბანეთის დელეგატმა ნეჯიმე ხოჯამ, რომელმაც განაცხადა, რომ კონგრესს ესწრება 385 დელეგატი მსოფლიოს 50 ქვეყნიდან. მთელი რიგი ქვეყნებიდან დელეგაციები ვერ ჩამოვიდნენ იმ დაბრკოლებათა გამო, რასაც მათ ადგილობრივი რეაქციული ხელისუფალნი უქმნიან. ზოგიერთი ქვეყნის დელეგატმა კონგრესზე ჩამოსვლა შეძლო მხოლოდ ისეთი უდიდესი სიძნელეების გადალახვით, რაც საფრთხეს უქმნიდა მათს სიცოცხლეს.

სამანდატო კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ დემოკრატ ქალთა საერთაშორისო ფედერაცია ამჟამად აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ქალთა ორგანიზაციებს და მის რიგებში არის 81 მილიონი წევრი.

ამრიგად, ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესი მსოფლიოს ქალთა მთელი დემოკრატიული მასების იმედისა და მისწრაფების ერთადერთი და სავსებით უფლებამოსილი გამომხატველია.

გრიშაშვილი
საბავშვო ლექსები

ი. გრიშაშვილის ახალი წიგნი

საბლიტგამმა, ამ დღეებში გამოსცა პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების წიგნი.

წიგნში მოთავსებულია პოეტის ყველა ის ლექსი, რომელიც დაბეჭდილი იყო საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. კრებული ლამაზად არის გაფორმებული მხატვარ მ. დაუშვილის მიერ, შეიცავს 184 გვერდს და ღირს 20 მანეთი.

ი. გრიშაშვილის ახალი წიგნი კარგი საჩუქარია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

3 დეკემბერს შედგა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მე-14 ტური.

ბონდარევსკიმ მოუგო ილივიცკის, ფურმანმა-კონსტანტინოპოლსკის.

მე-14 ტურის კოტოვ-ლევენფიშის ცენტრალურ პარტიაში 36-ე სვლის შემდეგ კოტოვმა თავი დამარცხებულად ცნო.

კერეს-პანოვის, ტაიმანოვ-ალატორცევის, ავერბახ-რაგოზინის, ხოლმოვ-ლისიცინის პარტიები გადაიდო.

ტოლუშ-არონინისა და ფლორ-ბრონშტეინის პარტიები არ შემდგარა.

მე-14 ტურის შემდეგ კოტოვს 9 ქულა აქვს ცამეტში, ფურმანს—8 თორმეტში, ბრონშტეინს — 7,5 თერთმეტში. (საკდესი).

ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირი

3 დეკემბერს გათამაშდა გადადებული და გამოტოვებული პარტიები. ებრალიძე-სარქისიანის პარტიაში, რომელიც გადადებული იყო რთულ ენდშპილში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. შიშოვმა, რომელსაც გადადებულ პარტიაში ბლაგიძესთან დიდი მატერიალური უპირატესობა — ზედმეტი ხარისხი და ორი პაიკი ქონდა, ადვილად მიაღწია გამარჯვებას.

პეტროსიან-ქარსელაძის გამოტოვებულ პარტიაში მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ლაზიერის გამბიტი. პეტროსიანმა აირჩია მწვავე გაგრძელება გრძელი როქით. ქარსელაძეს საშუალება ქონდა განევითარებინა ძლიერი იერიში მოწინააღმდეგის მეფეზე, მაგრამ მან იგი ვერ გამოიყენა და მალე თვითონ მოექცა იერიშის ქვეშ. ლამაზი კომბინაციით პეტროსიანმა მოიგო ჯერ პაიკი, ხოლო მალე პარტიაც.

დღეს შედგება მერვე ტური.

ჩვენს დედაქალაქში

⊙ ტრესტი „საქმშენი" თბილისში აშენებს და წელს აამუშავებს ახალ კერამიკულ კომბინატს.

ამჟამად მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები კომბინატის საამქროთა კორპუსების დასამთავრებლად და ტექნიკური მოწყობილობის დასადგმელად.

⊙ რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი ამზადებს და უახლოეს დღეებში მაყურებელს უჩვენებს შექსპირის ცნობილ ტრაგედიას „მეფე ლირს".

სპექტაკლს დგამს სტალინური პრემიის ლაურეატი სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

ლექცია

7 დეკემბერს, საღამოს 8 ს. და 30 წუთზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპ. 2) პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი პროფესორი ა. გზირიშვილი წაიკითხავს ლექციას:

„თირკმლის კენჭოვანი დაავადება და მისი მკურნალობა". ლექცია ილუსტრირებული იქნება დიაპოზიტივებით.

ბილეთების შეძენა შეიძლება „აკადემიური წიგნის" მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. 19) და ლექციის დღეს კლუბის სალაროში.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 5-XII „ალი" (დღისით), „კაკო ყაჩაღი" (10 აბ. 4 წარმ., საღამოს);

რუსთაველის სახელობის — 5-XII „სადგურის უფროსი" (დღისით), „საპატარძლო აფიშით" (4 სერ. 3 წარმ., საღამოს);

მარჯანიშვილის სახელობის—5-XII „ყვარყვარე თუთაბერი" (დღისით), „რკინის პერანგი" (18 სერ. 3 წარმ. საღამოს);

გრიბოედოვის სახელობის—5-XII „თქვენ გიხმობთ ტაიმირი" (დღისით), „ტანია" (16 აბ. 3 წარმ);

სომხური დრამატიული — 5-XII „ქოროღლი" (7 აბ. მოსწავლეთათვის), „ავი სული" (5 აბ. 3 წარმ., საღამოს);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 5-XII „მზის დაბნელება" (დღისით), „ხამთა სიყვარული" (8 აბ. 4 წარმ.);

მოზარდ მაყურებელთა ქართული — 5-XII „წითელქუდა" (39 აბ. 11 ს. 49 აბ. 2 ს.), „ზღაპარი სიმართლეზე" (9, 10, 11 აბ. 8 ს.);

კაპანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული—5-XII „თოვლის გუნდა" (97 აბ. 10 ს. 98 აბ. 2 ს.), „კრაზანა" (აბ. გარეშე 8 ს.).

მესამე შემოსატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის

მოგებათა მეხუთე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შედგა 1948 წლის 30 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში. სახელმწიფო 3 პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მეხუთე ტირაჟში მოგებანი ხვდათ სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
000227	15*)	25 000	053763	48*)	5 000
000527	09*)	5 000	054601	16*)	10 000
000914	1—50	1 000	054675	1—50	400
002502	08*)	5 000	054692	1—50	400
002934	07*)	5 000	055784	22*)	5 000
003252	1—50	1 000	055866	36*)	10 000
003912	14*)	25 000	056191	06*)	5 000
004378	36*)	5 000	056652	1—50	400
004709	25*)	5 000	056851	1—50	400
004850	1—50	400	057892	1—50	1 000
004944	22*)	5 000	058338	33*)	5 000
005322	47*)	5 000	058662	45*)	5 000
006359	1—50	400	059823	1—50	400
006615	22*)	10 000	060048	1—50	400
006624	27*)	5 000	060154	23*)	5 000
007042	1—50	400	060811	26*)	10 000
007101	1—50	1 000	061198	35*)	10 000
010659	45*)	5 000	061522	1—50	400
010999	1—50	400	061690	1—50	400
011345	38*)	10 000	062310	1—50	400
011388	40*)	5 000	062762	37*)	5 000
011763	22*)	25 000	063368	1—50	400
012145	32*)	5 000	063439	18*)	5 000
012319	08*)	5 000	064507	19*)	10 000
013130	23*)	5 000	064629	47*)	5 000
013198	1—50	400	065251	05*)	5 000
014740	11*)	5 000	065347	1—50	400
016062	50*)	5 000	065384	25*)	10 000
016449	48*)	5 000	065789	1—50	400
016612	31*)	10 000	065922	1—50	400
017228	1—50	400	067151	1—50	1 000
018203	40*)	5 000	068211	10*)	5 000
018615	45*)	5 000	069273	1—50	1 000
018692	24*)	5 000	069839	1—50	400
019152	34*)	5 000	070353	1—50	400
019824	15*)	5 000	070543	06*)	25 000
020550	34*)	5 000	071144	27*)	5 000
021207	1—50	400	071199	33*)	5 000
021469	06*)	5 000	071407	11*)	5 000
021602	1—50	400	071932	18*)	5 000
021616	1—50	1 000	072894	1—50	400
021995	22*)	10 000	073311	1—50	400
023095	44*)	5 000	073486	43*)	5 000
023614	24*)	5 000	073960	11*)	10 000
024254	42*)	10 000	076359	38*)	5 000
024801	14*)	5 000	077226	12*)	10 000
025093	38*)	5 000	077387	48*)	5 000
025599	47*)	5 000	077936	39*)	5 000
025917	42*)	5 000	078896	1—50	400
026835	05*)	10 000	079512	14*)	10 000
028734	18*)	5 000	079567	24*)	5 000
029242	16*)	5 000	080243	33*)	10 000
030077	45*)	10 000	080875	32*)	5 000
031027	16*)	5 000	081019	48*)	5 000
031627	10*)	5 000	082154	34*)	10 000
033056	06*)	5 000	082772	1—50	1 000
033059	1—50	1 000	084455	08*)	5 000
033155	25*)	5 000	084491	1—50	400
033466	1—50	400	085160	22*)	5 000
033773	1—50	400	086072	1—50	400
035213	48*)	10 000	086238	39*)	10 000
035960	1—50	1 000	086239	12*)	5 000
036431	05*)	5 000	086451	1—50	1 000
036445	1—50	400	087105	08*)	10 000
036497	38*)	5 000	088780	46*)	5 000
036929	21*)	5 000	089053	33*)	5 000
037287	1—50	1 000	089141	17*)	5 000
038825	14*)	5 000	089894	19*)	25 000
039334	37*)	5 000	090686	04*)	5 000
043107	1—50	400	091866	34*)	10 000
043692	1—50	400	092860	1—50	400
044057	1—50	400	093234	1—50	1 000
045496	1—50	400	093360	01*)	5 000
045983	04*)	10 000	094275	1—50	400
046310	26*)	5 000	094383	43*)	10 000
046976	43*)	50 000	095579	1—50	400
047579	43*)	5 000	096141	1—50	400
048102	1—50	400	096334	33*)	5 000
048405	32*)	5 000	096487	39*)	5 000
049794	1—50	400	097470	49*)	50 000
050261	24*)	5 000	099391	32*)	5 000
050384	1—50	400	099489	1—50	400
052199	36*)	5 000	099660	1—50	400
052565	47*)	10 000	099965	12*)	5 000
052962	1—50	1 000	099977	06*)	5 000

---

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
ა. პ. სტოლიაროვი
სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი
მდივანი ლ. ა. ვასილიევა

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **შოთა ლევანის-ძე კოპაძე**, მცხოვრებმა მაიაკოვსკის ქ. № 7, აღძრა საქმე ფირომანის ქ. № 20 მცხოვრებ მოქალაქე **ანეტა ალექსანდრეს ასულ რჩეულიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ქნარიკ ტიგრანის ასულმა ხეროპოვამ**, მცხოვრებმა მიასნიკოვის ქ. № 49. აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ამბარცუმ მელიქის-ძე კაზარიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

მეუღლე ვლადიმერ, შვილები თამარ, რომან, შალვა, რძლები ნინო, ნადია შვილებით, სიძე იოსებ კოპინაშვილი იუწყებიან **სოფიო გედევანის ასულ ხმალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-XII, 7 ს. გამოსვენება 7-XII, 5 ს. ყიზლარის, 11.

ქალთა მე-19 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ 5-XII, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მასწავლებელ **მარიამ სირაძის** პანაშვიდი.

შაშიანის საშუალო სკოლის მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ შალვა ჩეკუროშვილს მისი მამის **მიხეილის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 5-XII, 4 ს. სოფ. შაშიანში (გურჯაანის რაიონი).

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტირაჟი 110.000
უე 17208